პალიტრა მედია

ლია

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

26 მარტი ორშაბათი 2018
№ 059 (15 308) ფასი 1 ₾

ოთხ გოლს ლიფთა კი არა, ჩვენც არ ველოდით

4:0

ახლა ესპორნეთის ჯერია

2-3



8

თერთმეტი ლელო ჰოლანდიას

8

8

სამი თვის შემდეგ:
გორგოძე დაბრუნდა და გაიტანა

98 კილოში და ბრწყინვალე ასპარეზობის პრიზი

ამხანაგური მატჩი

დომინანტური, მესიჯი ევროპას

გიორგი ჩაკვეტაძეს გააქვს სადებიუტო გოლი საქართველოს ნაკრებში

საქართველო	4
ლიტვა	0

24.03.2018. თბილისი. მიხეილ მესხი

1:0 პაპუნაშვილი (15. ნავალოვსკის პასით), 2:0 ქვილითაია (23. კაკაბაძის პასით), 3:0 ყაზაიშვილი (32-ჰენ), 4:0 ჩაკვეტაძე (40)

საქართველო (4-2-3-1): ლორია - კაკაბაძე, კაშია (62. დვალი), კვირკველია, ნავალოვსკი - კანკავა (62. კვეკვესკირი), გვილია - ყაზაიშვილი (83. მერებაშვილი), ანანიძე (11. პაპუნაშვილი), ჩაკვეტაძე (69. აბურჯანია) - ქვილითაია (73. არაბული).

სათადარიგოები: მაკარიძე, კვასხვაძე, ტაბიძე, კაჭარავა, შერგელაშვილი, ჯიღაური

მწვრთნელი: ვლადიმირ ვაისი

ლიტვა (4-5-1): შეტკუსი - გირდვანისი, კლიმავიჩუსი, სლავიცკასი, ბოროვსკი - ვერბიცკასი (81. პაულიუსი), ჟულპა (46. ვორობიოვასი), ნოვიკოვასი (60. ლასიცკასი), ჩერნიხი (81. რომანოვსკი), შერნასი (72. ლაუკუმისი) - ვალსკისი (46. კუკლისი).

სათადარიგოები: ჩერნიაუსკასი, გერტმონასი, იანკაუსკასი, იანუშევსკისი, ვაიტკუნასი, ბარავიკასი

მწვრთნელი: ედგარას იანკაუსკასი

გაფრთხილებები: კლიმავიჩუსი (31), ვერბიცკასი (65), ლასიცკასი (74), კვირკველია (74), სლავიცკასი (88)

არბიტრი: ალექსანდრუ ტინი (მოლდოვა)

მაგალითების მნიშვნელობა

ერთა ლიგაში საქართველოს ნაკრები „ჯუჯებს“ შორისაა - ევროპას ვაჩვენეთ, რომ იქ ნამდვილად არ არის ჩვენი ადგილი. ასეთი თამაშით მართლაც არაფერი გვესაქმება ყაზახეთთან და ლატვიასთან. სხვა საქმეა, რომ ჯერ ტაშ-ფანდურს ვერ გავმართავთ. საქართველოს ნაკრების ეპიზოდური გამონათებები ადრეც ბლომად გვინახავს. მთავარია, ახლა სტაბილურად იყოს ყველაფერი.

ერთა ლიგის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე მივიღეთ გვარიანი პოზიტივი. შანსი არ დავუტოვეთ იმ დონის და ოდნავ უკეთეს მეტოქეს, რომლებთანაც საქმე გვექნება ერთა ლიგაში.

კომპლიმენტები ვაისს

საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს ჩვენგან კრიტიკა არასოდეს დაჰკლებია, ახლა კი კომპლიმენტების დროა. ამ შეხვედრის წინ ჩვენი მთავარი გუნდისგან ველოდით ორ რამეს:

1. უნდა გვეთამაშა დომინანტური ფეხბურთი და მოწინააღმდეგისთვის გვეკარნახა ჩვენი სათამაშო სტილი და პირობები.

2. საქართველოს ნაკრებს უნდა გაეტანა, რაც შეიძლება მეტი გოლი, რადგან უკვე დროა, ვისწავლოთ მეტოქის კართან შექმნილი სახეირო მომენტებიდან მაქსიმუმის გამოდნობა.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ორივე ეს ამოცანა წარმატებით გადავჭერით. პირველივე ტაიმში მოვათავეთ საქმე და საკეთებელი. ამის გამო, მეორე ნახევარი სრულ ფორმალობად იქცა, თუმცა ჩვენთვის სასარგებლო იყო იმით, რომ დაცვაში თამაში მოვსინჯეთ. ერთა ლიგის მატჩებ-

მატჩის სტენოგრამა

1' - ანანიძემ და ქვილითაიამ მოკლე პასებით სცადეს მეტოქის საჯარიმოში შესვლა. ლიტველმა მცველებმა ხიფათი ბოლო წამს განმუხტეს.

6' - ანანიძე, ერთი შეხედვით, უწყინარ სიტუაციაში დაშავდა და ვლადიმირ ვაისს იძულებითი ცვლილების გაკეთებამ მოუწია.

14' - გადმოვარდნილ ბურთს ყაზაიშვილმა ძლიერად დასცხო. მეკარე შეტკუსი ბურთს ადგილზე დახვდა.

15' - გოლი! ჩაკვეტაძემ ბურთი ნავალოვსკის გადაუტანა ფლანგზე, ამან მოხდენილად შეასრიალა ის საჯარიმოში და პაპუნაშვილმა ერთი შეხებით გახსნა ანგარიში - 1:0!

23' - გოლი! კაკაბაძის შესანიშნავი ჩაწოდება და ქვილითაიას თავური. იქმნება შთაბეჭდილება, რომ იყო მცირე რიკოშეტი. ბურთი შორეულ დაბალ კუთხეშია - 2:0!

31' - ლიტველი მცველი ხელს ჰკრავს ქვილითაიას, რომელიც ბურთზე იხსნება. მოლდაველი არბიტრი სტუმართა კარში პენალტს ნიშნავს.

32' - გოლი! ყაზაიშვილი ცივსისხლიანად ასრულებს უმაღლეს საფეხბურთო სასჯელს - მეკარე იქით, ბურთი აქეთ - 3:0!

40' - გოლი! გვილია კარგად პოულობს ჩაკვეტაძეს. ეს უკანასკნელი ლიტველ მცველს აბითურებს და მეოთხე (მისთვის პირველი საერთაშორისო) გოლი გააქვს - 4:0!

81' - არაბულის მიერ ახლო კუთხეში ძლიერად დარტყმულს ლიტველთა მეკარე იგერიებს.

მატჩის შემდეგ

ვლადიმირ ვაისი
რაღაცებზე თვალი დავხუჭე...

საქართველოს ნაკრებმა წლის პირველ მატჩში გულშემატკივარი ძალიან გაახარა. ვლადიმირ ვაისის გაწვრთნილებმა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ლიტვას 4:0 მოუგეს. ეს იმდენად შთამბეჭდავი თამაში იყო, ქართველ ქომაგს იმედი გაუჩნდა - იქნებ, გაზაფხულის მოსვლასა და ბუნების გამოღვიძებასთან ერთად, ჩვენმა ფეხბურთმაც გამოიღვიძოს?

კაცი იმედს არ მოუკლავს და ჩვენც ამის იმედად ვიყოთ. ფაქტია, ასეთი „ჩაკეტილ“ ნაკრებებთან ყოველთვის გვიჭირდა. ახლა კი უცებ - 4:0!

მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებმა „ლელოსთან“ კომენტარები გააკეთეს, ხოლო ვლადიმირ ვაისმა შაბათის მატჩი პრესკონფერენციაზე შეაფასა:

ოთარ კაკაბაძე

გოლოს ძალები შემოვინახეთ

ოთარ კაკაბაძემ საქართველოს ნაკრებში კიდევ ერთი კარგი თამაში ჩაატარა. ესპანეთის ლა ლიგა 2-ის ბინადარ „ჟიმნასტიკის“ მცველის პროგრესი აშკარაა და ის ეროვნული ნაკრების შეუცვლელად მარჯვენაფლანგელად ჩამოყალიბდა.

ლიტვასთან კაკაბაძე დაცვაშიც საიმედო იყო და შეტევაშიც ხშირად ერთვებოდა. მეორე გოლი სწორედ მისი მშვენიერი ფლანგური პასის შედეგად გავიდა:

„მიმაჩნია, რომ დღეს კარგი თამაში გამოგვივიდა. რასაკვირველია, პირველ ტაიმს ვგულისხმობ - ოთხი გოლი გავიტანეთ და ვიტყვი, რომ სანახაობრივი ფეხბურთი ვაჩვენეთ. მეორე ტაიმში კი ძალები შევინახეთ. ესტონეთთან მატჩამდე 3 დღეა დარჩენილი და ამ მატჩსაც კარგ ფიზიკურ მდგომარეობაში უნდა შევხვდეთ“.

გიორგი ჩაკვეტაძე

გედნიერი ვარ!

ლიტვასთან 18 წლის **გიორგი ჩაკვეტაძის** სანაკრებო დებიუტი ვიხილეთ. ბელგიური „გენტის“ შემტევმა ნახევარმცველმა პირველივე მატჩში თავი მშვენიერი თამაშითა და გოლით გამოიჩინა.

„ეს ჩემთვის ეროვნულ ნაკრებში პირველი თამაში იყო და ბედნიერი ვარ, რომ პირველივე შეხვედრაში გავიტანე. ვეცდები, შემდეგ თამაშებშიც ასეთივე მოტივაციით და მონდომებით ვითამაშო. რაც შეეხება თამაშს, პირველ ტაიმში ყველაფერი ძალიან კარგად გამოგვივიდა, ბევრი მომენტი შევქმენით და, ფაქტობრივად, ყველა მათგანი გამოვიყენეთ. მეორე ნახევარში ანგარიშის შენარჩუნებას ვცდილობდით, რაც ბუნებრივია - როცა პირველ ტაიმს 4:0 მოიგებ, ასეც ხდება. მიმაჩნია, რომ დღეს გუნდმა კარგი ფეხბურთი აჩვენა“, - ამბობს ჩაკვეტაძე, რომელიც ესტონეთთან ვერ ითამაშებს, რადგან შეთანხმების საფუძველზე „გენტში“ უნდა დაბრუნდეს:

ამხანაგური მატჩი

შინაარსიანი, შედეგიანი

ში ეს გამოგვადგება იმ შემთხვევებში, როცა დავწინაურდებით...

დებიუტიც ასეთი უნდა!

საქართველოს ნაკრებში დებიუტი ჰქონდა **გიორგი ჩაკვეტაძეს.** დებიუტი მართლაც რომ დიდებული გამოვიდა. ბელგიური „გენტის“ ნახევარმცველი მინდორზე აკეთებდა ყველაფერს, რაც სურდა. **ოთარ კაკაბაძესთან** ერთად ის ამ შეხვედრის უდავოდ საუკეთესო მოთამაშე გახლდათ, თუმცა განსაზღვრება „საუკეთესო“ მაინც პირობითი ცნებაა.

რომელს გინდა დაუკარგო გარჯა - შესანიშნავი საგოლე თავურის ავტორს და პენალტის მომნადირებელ **გიორგი ქვილითაიას,** ძალიან მწვავე **გიორგი პაპუნაშვილსა** და **ვაკო გვილიას,** თუ ლომივით და უშეცდომოდ მებრძოლ **ჯაბა კანკავას?**

და მაინც, ჩაკვეტაძე სულ სხვა იყო. მან ოთხივე გოლში მიიღო პირდაპირი თუ ირიბი მონაწილეობა. ძალიან მაგარი იყო მისი გოლიც. ამ ასაკის ბიჭები ასე იშვიათად თამაშობენ, მით უმეტეს ეროვნულ ნაკრებში და თან - სადებიუტო მატჩში. იმ ლიტველ მცველს კარგა ხნის განმავლობაში არ დაავიწყდება, რაც ჩაკვეტაძის გოლის ეპიზოდში დაემართა...

საქართველოს ნაკრების გარჯას ამით მეტი სინატიფე და ინტელექტი შეემატა. წესით, ეს 24 მარტი კარგად უნდა დავიმახსოვროთ: თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ჩაკვეტაძემ კიდევ არაერთი დასამახსოვრებელი მატჩი უნდა ჩაატაროს საქართველოს ნაკრებში!

ჩემი პირადი აზრია: დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთს გიორგი ქინქლაძის მერე არ ჰყოლია ამხელა ტალანტი. ახლა ჯერი გიორგიზეა. წამითაც არ უნდა მოდუნდეს, თავში არ უნდა აუვარდეს, ისე იმუშაოს, როგორც მუშაობდა და ახსოვდეს, რომ ამ ქვეყანაზე ყველაზე დიდი ნიჭი შრომის ნიჭია.

ნუ მოვეშვებით!

როცა გუნდი 4:0-ს იგებს, ძალიან ძნელია, გააკრიტიკო. და მაინც, ბევრ ტკბილს ცოტა მწარეც უნდა გამოვურიოთ. გასაგებია, რომ მეორე ნახევარში მეტი ყურადღება მივაქციეთ დაცვას, მაგრამ ვერ გავამართლებთ იმას, რომ ზოგიერთი ფეხბურთელი ზედმეტად ცდილობდა საკუთარი თავის წარმოჩენას.

მერე რა, რომ თამაშის ბედი გადაწყვეტილი იყო. რაც ფეხბურთი არსებობს, ის 90 წუთის განმავლობაში გრძელდება. არ შეიძლება გააკეთო ფინტი იქ, სადაც არ არის საჭირო; მოატყუო კაცი იქ, სადაც ამის აუცილებლობა არ არის, თორემ როცა საჭიროა, ფეხბურთში კაცის მოტყუებას და კარგ ფინტს რა ჯობია?!

ორი ჩრდილი

ჩვენს დიდ სიხარულს ორი გვარიანი ჩრდილი გამოერია. პირველი: თამაში იმ დღეს გაიმართა, როცა საქართველომ მიწას მიაბარა თავისი წამებული გმირი **არჩილ ტატუნაშვილი**, რომლის ხსოვნას ფეხბურთელებმა ჯერ თამაშამდე, მერე კი უშუალოდ მატჩის დაწყების წინ სცეს პატივი წუთიერი დუმილით. ჩვენმა ფეხბურთელებმა შავი სამკლავურებით ითამაშეს...

ისევ ოპერაცია?

საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ ლიდერ ჯგანო ანანიძეს ოპერაცია სჭირდება. როგორც აღმოჩნდა, ლიტვასთან შაბათის ამხანაგურ შეხვედრაში მან მარჯვენა მუხლის ჯვარედინი მყესები დაიზიანა.

„გამოკვლევამ, რომელიც ჩატარდა თბილისში, წინასწარი დიაგნოზი დაადასტურა. და ზიანებულია მარჯვენა მუხლის ჯვარედინი მყესები, რაც იმას ნიშნავს, რომ აუცილებელია ოპერაცია. ჩვენ მუდმივი კავშირი გვაქვს საქართველოს ნაკრების ექიმთან. ოპერაციის თარიღი და ანანიძის მინდორზე დაბრუნების ვადები მოგვიანებით გახდება ცნობილი“, - განაცხადა „სპარტაკის“ სამედიცინო დეპარტამენტის უფროსმა მიხაილ ვართაპეტოვმა.

ჯგანო გაამხნევეს გიორგი ჯიქიამ და სხვა ფეხბურთელებმა. ვამხნევებთ ჩვენც - მას ეს ძალიან სჭირდება!..

ალეკო კაკაურიძე

მეორე ჩრდილი კი **ჯგანო ანანიძის** ტრავმა იყო. საქართველოს ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა მატჩის დასაწყისშივე მშვენიერი კომბინაციის გათამაშება მოასწრო **გიორგი ქვილითაიასთან**. მერე კი, ბურთს რომ აბრუნებდა ლიტველთა საჯარიმოში, ტრავმა მიიღო და მოედნიდან საკაცით გაიყვანეს...

ოპტიმისტურ ნოტზე

...და მაინც, წერილი ოპტიმისტურ ნოტაზე უნდა დავასრულოთ. თუ ასე ვითამაშეთ, ჩვენი გამძლები არც უახლოესი მეტოქე ესტონეთი ჩანს და არც ის ნაკრებები, რომლებთანაც ერთა ლიგაში მოგვიწევს საქმის დაჭერა.

ესტონეთთან არ გვეყოლება ჯგანო და არ იქნება ჩაკვეტაძეც, ვინც „გენტში“ ბრუნდება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და კლუბს შორის მოლაპარაკების შედეგად. არადა, კარგი იქნებოდა, გიორგის ესტონეთთანაც ეთამაშა...

უნდა ვივარაუდოთ, რომ ესტონეთთან მატჩში „მიხეილ მესხზე“ უფრო მეტი გულშემატკივარი მივა...

შეიძლება, ამის ვარაუდი ჯერ ადრეა, მაგრამ რატომღაც გვგონია, რომ საქართველოს ნაკრებმა დაძლია წლების განმავლობაში სავალი აღმართი და ის დროა, ჩვენში საფეხბურთო აღმავლობა დაიწყოს. ამას მხოლოდ ლიტვასთან მატჩით როდი ვვარაუდობთ. ამ ვარაუდს განმტკიცება სჭირდება...

ალეკო კაკაურიძე

მატჩის შემდეგ

„თავიდანვე ასეთი შეთანხმება იყო „გენტსა“ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის, რომ მხოლოდ პირველ თამაშს ჩავატარებდი. ასე რომ, ესტონეთთან ამის გამო ვეღარ ვიქნები. მადლობას ვაისს, რომ მენდო და მათამაშა. ჩემი აზრით, დებიუტანტის კვალობაზე ცუდი მატჩი არ გამომივიდა“.

ნამდვილი სახე

- ცხადია, ასე იოლად ყველა მეტოქეს ვერ მოვუგებთ. თუმცა დღეს თამაში ბრწყინვალედ ჩავატარეთ, განსაკუთრებით - პირველი ტაიმი. კმაყოფილი ვარ როგორც ხარისხით, ასევე შედეგით. რეალურად, სწორედ დღეს პირველად ვნახე საქართველოს ნაკრების რეალური სახე დ პოტენციალი. ეს იმის შედეგი იყო, რომ გუნდმა მოახერხა კონცენტრირება. თუ იმავეს სხვა მატჩებშიც შევძლებთ, ჩვენი გუნდი ბევრს მიაღწევს. ესტონეთთანაც ასევე მობილიზებულებმა უნდა ვითამაშოთ.

- დღეს საქართველოს ნაკრებმა რადიკალურად განსხვავებული ტაიმები ითამაშა. რა იყო ამის მიზეზი?

- ბევრი ცვლილება გავაკეთეთ და შესაბამისად, თამაშის მსვლელობაც შეიცვალა - რადიკალურად განსხვავებული ტაიმები ამას შეიძლება მივაწეროთ. ფეხბურთელები მეორე ნახევარში ისეთივე მოტივირებული აღარ იყვნენ, როგორიც დასაწყისში. მაგრამ ეს ფეხბურთია და ასეც ხდება - როცა პირველ ტაიმს 4:0-ს იგებ, ძნელია, მეორე ნახევარშიც იგივე ფეხბურთი აჩვენო.

- ამ თამაშიდან გამომდინარე, როგორ ფიქრობთ - რა აქვს ნაკრებს გამოსასწორებელი?

- როცა ანგარიში 4:0 გახდა, ფეხბურთელებმა პუბლიკაზე დაიწყეს თამაში, მე რაღაცებზე დავხუჭე თვალი. თუმცა დავალება მივეცი, რომ გოლი არ გაეშვათ და ფეხბურთელებმა ეს მითითებები კარგად შეასრულეს.

- ესტონეთთან წინა ამხანაგურ შეხვედრაში საქართველომ 0:3 წააგო და ახლა რევანშს ველოდებით. რა იცით მომავალ მეტოქეზე?

- ესტონეთის ნაკრები კარგად გამოიყურებოდა შესარჩევ ჯგუფში. ვიცი, რომ დაცვაში კარგად თამაშობენ, ჩვენ კი ვეცდებით, მათი მინუსები ვიპოვოთ და დავამარცხოთ. არ გვეყოლებიან ანანიძე და ჩაკვეტაძე, რომელიც მხოლოდ ერთი მატჩის სათამაშოდ გამოუშვეს, მაგრამ რამეს მოვიფიქრებთ და ვეცდებით, თუნდაც კონტრშეტევებზე გამოვიჭიროთ მეტოქე.

- ანანიძის ტრავმა სერიოზულია?

- ერთადერთი, რაზეც დღეს გული დამწყდა, სწორედ ანანიძის ტრავმაა. ჯგანო შესანიშნავი ადამიანი და უნიჭიერესი ფეხბურთელია. იმედია, მას სერიოზული არაფერი სჭირს და მოედანს მალე დაუბრუნდება.

მერაბ მამულაშვილი

მეტოქეები

ყაზახური მესიჯი

ერთა ლიგაში საქართველოს ნაკრების მეტოქეებმა ამხანაგური მატჩები ჩაატარეს. გარდა ამისა, ითამაშა ესტონეთის უპირველესმა გუნდმაც, რომელსაც ხვალ თბილისში უნდა შევხვდეთ...

ბრავო სტოილოვს!

ყაზახეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე პირველი მატჩი ჩაატარა ბულგარელმა **სტანიმირ სტოილოვმა.** დებიუტი შესანიშნავი გამოვიდა - ყაზახებმა უნგრეთის ეროვნული გუნდი სტუმრად 3:2 დაამარცხეს.

ბუდაპეშტის მატჩი ყაზახების კარნახით დაიწყო. მალევე **მურთაზაევმა** ანგარიში გახსნა. მე-10 წუთზე სტუმრებმა კიდევ ერთი გოლი (**ზეინუტდინოვი**) მიითვალეს. უნგრელმა **შალაიმ** მალევე შეამცირა სხვაობა, თუმცა პირველი ტაიმის დასრულებამდე 6 წუთით ადრე „ყაზახ მესიდ“ წოდებულმა **სეიდახმეტმა** თავისიანების უპირატესობა კვლავ ორბურთიანი გახადა. მეორე ტაიმში უნგრელებმა ერთხელაც შეძლეს სხვაობის მინიმუმამდე შემცირება, მაგრამ სულ ეს იყო - ჩვენმა მეტოქემ თამაში გამარჯვებამდე მიიყვანა.

უნგრეთი-ყაზახეთი 2:3

გოლები: 0:1 მურთაზაევი (6), 0:2 ზეინუტდინოვი (10), 1:2 შალაი (21), 1:3 სეიდახმეტი (39), 2:3 ნემეტი (68)

ყაზახეთი (4-3-3): ერიჩი - პოსტნიკოვი, ბაისბეკოვი, შომკო, მალი - კუატი, ისლამხანი, ზეინუტდინოვი (72. პარაგულგოვი) - სეიდახმეტი

ყაზახეთის ნაკრებმა ბუდაპეშტში ძალა აჩვენა

(60. პეტრიუხი), მურთაზაევი, ხიუნიჩენკო (76. ტუნგისბაევი)

უგოლო ზავი ერევანში

ესტონეთის ნაკრები, რომელიც 27 მარტს თბილისში საქართველოს უნდა ეთამაშოს, ერევანში იქაურ ეროვნულ გუნდს შეხვდა. **მარტინ რეიმის** გაწვრთნილები სომხებს უგოლოდ დაუზავდნენ.

მასპინძლები უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ არა იმხელას, რომ უეჭველად მოეგოთ. ესტონელებმა კარგად დაიცვეს თავი და მათთვის სასურველ ფრესაც მიაღწიეს. ასეთი იყო ამ სპარინგის სიუჟეტი.

ესტონეთი (5-3-2): აკსალუ - კალასტე, კლავანი, ტამი, ტენისტე, ვიმანი - ლუტსი (72. ანტონოვი), მეტსი, კაიტი (77. დმიტრიევი) - ანიერი, ვასილიევი.

ლატვია გიბრალტართან შერცხვა

ერთა ლიგაში საქართველოს ნაკრების კიდევ ერთმა მეტოქე ლატვიის ეროვნულმა გუნდმა საგარეო ამხანაგური მატჩი წააგო გიბრალტართან. მასპინძელთაგან ერთადერთი გოლი 87-ე წუთზე **ლაიამ უოლკერმა** გაიტანა. **ალექსანდრ სტარკოვსმა** ასეთი შემადგენლობა ათამაშა.

ლატვია: ვანინსი (46. შტეინბორნსი), დუბრა, იაგოდინსკისი, ტარასოვსი (72. ტორესი), იურკოვსკისი (65. გაბოვსი), სავალნიეკსი, ლაიზანსი (46. ინდრასი), კაზაჩოკსი, კლუჟკინსკი, შაბალა (46. გაურაკსი), ულდრიკისი (57. ფიოდოროვსი).

ალეკო კაკაურიძე

U17. ელიტრაუნდი

მარცხი და თეორიული შანსი

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდის მეორე ტურში ჯგუფის ლიდერ ირლანდიასთან 0:2 წააგო, თუმცა **გიორგი ნემსაძის** გუნდს შეეძლო, მარცხი თავიდან აერიდებინა.

სამწუხაროდ, პოლონეთთან მატჩის (2:2) დარად, ტრავმამ ამჯერადაც საწყის წუთებში გამოაკლო ჩვენს გუნდს საჭირო ფეხბურთელი - **შოთა ონიკაშვილი** უკვე მე-10 წუთზე გახდა შესაცვლელი. ზოგიერთი ირლანდიელთა პირველ გოლს **ტროი პეროტს** მიაწერს, ზოგიერთი კი **ელგუჯა ჯანგველაძის** ავტოგოლად ნათლავს. კელტთაგან მეორე ბურთი შონ ბრენანმა გაიტანა, ირლანდიამ 2:0 მოიგო და 2 ტურის შემდეგ 100-პროცენტიანი მაჩვენებლით ჯგუფიდან უკვე გასულია.

საქართველო: **ხარშილაძე, ონიკაშვილი (10. კალანდაძე), ჭინჭარაული, მექვაბიშვილი, ჯანგველაძე, ჩოთალიშვილი (53. შვარცი), ტალახაძე, მესიაჩენკო, გულიაშვილი, დავითაშვილი, კვარაცხელია.**

ჯგუფის მეორე მატჩში პოლონეთმა 3:0 მოუგო მაკედონიას, რომელსაც საქართველოს ნაკრები 27 მარტს ეთამაშება. 2 ტურის შემდეგ 1 ქულა გვაქვს და ევროპის პირველობაზე გასვლის მხოლოდ თეორიულ შანსს ვინარჩუნებთ. მეორე ადგილზე რომ გავიდეთ, მაკედონიას რაც შეიძლება დიდი ანგარიშით უნდა მოვუგოთ.

მაგრამ გააჩნია, რას იზამს პარალელურ მატჩში მასპინძელი პოლონეთი, რომელსაც ბოლო ტურში, სულ ცოტა, ფრეც აძლევს ხელს, თუმცა უეჭველია, მოგებისთვის იბრძოლებს, რადგან მხოლოდ პირველი ადგილი იძლევა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის 100-პროცენტიან გარანტიას. მეორეადგილოსნებიდან კი შვიდ საუკეთესოს (რვიდან) შორის უნდა მოხვდე...

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ირლანდია	2	2	0	0	5-0	6
2. პოლონეთი	2	1	1	0	5-2	4
3. საქართველო	2	0	1	1	2-4	1
4. მაკედონია	2	0	0	2	0-6	0

ბოლო ტური
სამშაბათი, 27 მარტი

პოლონეთი-ირლანდია
მაკედონია-საქართველო

ალეკო კაკაურიძე

U21. საკვალიფიკაციო ეტაპი. III ჯგუფი

ანკესის ნადავლი

საქართველო	1
ფარერები	0

23.03. გორი. თენგიზ ბურჯანაძე

1:0 ზარანდია (47. კიტეიშვილის პასით)

საქართველო (4-3-3): **კუპატაძე - ქანთარია, მარგველაშვილი, გიორგაძე, ნადარაია - შულაია, კიტეიშვილი, ცეცხლაძე - ზარანდია, არაბიძე (74. ბერიძე), ხარაიშვილი (59. მიქელთაძე).**

სათადარიგოები: **ჩოჩიშვილი, გიორბელიძე, არველაძე, მამუჩაშვილი, კობოური**

მწვრთნელი: **გია ცეცაძე**

ფარერები (4-1-4-1): **კ. ჰანსენი - დანიელსენი, პეტერსენი, ვერდუმი, მაგნუსონი - ნილსენი - ჰეინესენი (79. ა. ოლსენი), იაკობსენი, ბერტალი, მ. ოლსენი - ტომსენი.**

სათადარიგოები: **ბ. ჰანსენი, ბენიამინსენი, იოჰანსენი, ჰენცე, სოილუ, კნუდსენი**

მწვრთნელი: **ელი ჰენცე**

გაფრთხილება: **მ. ოლსენი (43)**

არბიტრი: **ზ. ოვანესიანი (სომხეთი)**

გამარჯვების გოლი ლუკა ზარანდიამ გაიტანა

კინკილა

ჩვენთან სტერეოტიპულად ჯერ კიდევ ფიქრობენ, რომ როცა ფარერის კუნძულების ნაკრებს ვეთამაშებით, ძირითადად „მეთევზეებთან“ გვაქვს საქმე. თევზს უხვად ბადის გამოყენებით დაიჭერ, ანკესით კი თითო-ოროლა მოჰყვება ხოლმე. ჩანს, წავიდა ის დრო, ამ ნაკრებთან სათევზაოდ ბადით რომ დავდიოდით და 5-6 ბურთი გაგვექონდა. აგერ, მაგალითად, ახალგაზრდულმა ნაკრებმა ამ შესარჩევ ჯგუფში სტუმარადაც ერთი კინკილა გოლი გაუტანა ფარერებს და მეტი ვერც შინ შეძლო. აქედან პირველ შემთხვევაში სულაც დავმარცხდით (1:3), ხოლო საშინაო პაექრობაში, საბედნიეროდ, ერთი გოლიც გვეყო მოსაგებად.

ეს მატჩი **გია ცეცაძისთვის** სადებიუტო გახლდათ ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე. დებიუტის გამარჯვებით აღნიშვნა კი, ვინც უნდა გყავდეს მეტოქედ, მაინც სასიამოვნოა...

დებიუტი

მოლოდინისამებრ, საქართველოს ნაკრები „პირველ ნომრად“ თამაშობდა, მეტოქე კი კონტრშეტევებზე აგებდა თამაშს. ვერ ვიტყვით, რომ ეს კონტრშეტევები უსაფრთხო იყო ქართველი მცველებისთვის. რამდენჯერმე დაცვის ისეთი შეცდომაც ვიხილეთ, უფრო მაღალი კლასის მოწინააღმდეგე გოლით რომ დაგვსჯიდა.

საწყის წუთებში ბრძოლა მეტწილად მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა. მასპინძლებმა თანდათან შეძლეს ზემოთ, მეტოქის საჯარიმოსკენ აეწიათ დარტყმის ხაზი. ცეცაძის შეგირდები საჯარიმოს მიახლოებისას ხშირად ცდილობდნენ კარში დარტყმას, რაც ურიგო არ ყოფილა იმის გათვალისწინებით, რომ ხიფათის მუხტს მათი ასეთი ქმედება ყოველთვის ქმნიდა. თავიდან ამ მხრივ **გიორგი არაბიძემაც** სცადა თავის გამოჩენა. უფრო სახიფათო კი **ლუკა ზარანდიას** დარტყმული გამოდგა, როცა ფლანგიდან ცენტრისკენ შეწეულმა ბურთი ძლიერად, ოღონდ, მცირეოდენ არაზუსტად გაგზავნა კარში.

გამორჩეულები

ზარანდია საერთოდაც ხშირად მიმართავდა გამწვავებას სოლორეიდის ხარჯზე, ასევე ხშირად ცდილობდა მოწინააღმდეგის მოტყუებას, რაც გამოსდიოდა კიდეც, თუმცა მაინცდამაინც მისაღები არ იყო კაპიტნის „სიძუნწე“ ბურთთან განშორებისას. გავიხსენოთ მისი სლალომი მატჩის მიწურულს, რომელიც ჩინებული გოლითაც დასრულდებოდა, რომ არა ეს „სიძუნწე“.

ყველაფერთან ერთად, ზარანდია იმიტომაც უნდა გამოვარჩიოთ, რომ გადამწყვეტი გოლი (ორი ქუსლური პასით) გაიტანა. გოლი კი ეფექტური გამოვიდა. ის ჩვენი ნაკრების სწრაფ შეტევას მოჰყვა, კომბინაციის დამაგვირგვინებელ ფაზაში **ოთარ კიტეიშვილის** პასი იყო გადამწყვეტი. არც ის გამოგვრჩეს, რომ მოედნის ცენტრში მოთამაშე კიტეიშვილი მთელი თამაშის განმავლობაში აქტიური და ნაყოფიერი გარჯით გამოირჩეოდა.

გოლოსკენ

გოლი მეორე ტაიმის დასაწყისშივე გავიდა, რასაც ჩვენი ფეხბურთელების ერთგვარი უკანდახევა მოჰყვა. პარალელურად, სტუმრებმაც სცადეს ზეწოლის გაძლიერება. მეტიც - გაშვებული გოლიდან 15 წუთის განმავლობაში, ვიდრე მათ მოედნის ქართველთა ნახევარზე ყოფნა ხშირად უწევდათ, **ლაზარე კუპატაძეს** არაერთხელ მოუწია საქმეში ჩართვამ.

მასპინძელთა გულშემატკივრების გასახარად, შეხვედრის ბოლო ნახევარი საათის განმავლობაში თამაში ისეთივე კალაპოტში ჩადგა, როგორშიც შესვენებამდე იყო. ბოლოსკენ შეცვლაზე შესულ **გიორგი ბერიძესაც** შეექმნა (**აკაკი შულაიას** პასით) სახეირო მომენტი, თუმცა ბურთი ფარერელთა კარის ბადეში აღარ შეგორებულა და საბოლოოდ, კუნძულელებთან პაექრობაში ჩვენს „ანკესს“ ერთი, მაგრამ გამარჯვების მომტანი გოლი მოჰყვა.

მატჩის შემდეგ

გია ცეცაძე: **„ეს თამაში უნდა მოგვეგო და მოვიგეთ კიდეც. სასწაული არ მოგვიხდენია. აქ არც ფრეს და არც წაგებას, ცხადია, არ განვიხილავდით. ფარერებთან წაგების უფლება არ გვქონდა. რაც უნდა დრო გავიდეს და ფეხბურთი განვითარდეს, მათ მაინც ყოველთვის უნდა ვუგებდეთ. ის პირველი მატჩი სტუმრად საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა შემთხვევით წააგო. ფარერებს არ ვაკნინებ, მაგრამ უბრალოდ აღვნიშნავ, რომ რაც აქვთ გამოსარჩევი და საერთაშორისო დონის, ეს არის განწყობა, რითიც გამოდიან და თამაშობენ. ეს დღესაც გამოჩნდა. თუმცა შესაბამისი განწყობა არც ჩვენ გვაკლია... რაც შეეხება დღევანდელი მატჩის ხარისხს, ის იდეალური არ ყოფილა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჯერ მხოლოდ ერთი კვირაა, რაც შევიკრიბეთ ამ შემადგენლობით და ორიოდ დღეში, რა საკვირველია, საქმე არ კეთდება“.**

ვასილ ბალახაძე
გორიდან

III ჯგუფი

ლიტვა-ფინეთი 0:2

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. დანია	5	4	0	1	20-5	12
2. პოლონეთი	5	3	2	0	13-6	11
3. საქართველო	6	2	1	3	7-13	7
4. ფინეთი	5	1	3	1	8-11	6
5. ფარერები	6	1	2	3	6-11	5
6. ლიტვა	5	1	0	4	3-11	3

მომდევნო მატჩები
სამშაბათი, 27 მარტი

პოლონეთი-ლიტვა
საქართველო-დანია

რუსთავი

სიჭინავას მხოლოდ დიდი მადლობა ეკუთვნის...

„რუსთავმა“ მარტვილის „მერანში“ გაანათხოვრა დათა სიჭინავა, ვინც ლამის პირადად აღაზევა გუნდი საქართველოს ეროვნულ ლიგაში. ამბობენ, რუსთავულ კლუბში სხვა ცვლილებებიც იგეგმებაო და, შესაძლებელია, გუნდი კიდევ რამდენიმე მოთამაშემ დატოვოს.

სეზონის წინ „რუსთავმა“ კარგი შემადგენლობა შეკრიბა, მაგრამ მთლად ყოჩაღად ვერ დაიწყო ჩემპიონატი და „დინამოსთან“ სასტარტო გამარჯვების შემდეგ ორჯერ დამარცხდა.

„ლელო“ რუსთაველთა სპორტულ დირექტორს, ლევან სილაგაძეს დაუკავშირდა და რამდენიმე კითხვა დაუსვა:

- თავდაპირველად, დათა სიჭინავაზე გვაინტერესებს თქვენი კომენტარი. ცნობილია, რომ ის გუნდიდან წავიდა...

- მას სათამაშო დროის პრობლემა ჰქონდა. ამ ეტაპზე, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ის გაგვენათხოვრებინა მარტვილის „მერანში“, რომელსაც ლიგა 2-ში დიდი ამბიციები აქვს. ეს ნაბიჯი უკავშირდება ისევ და ისევ სიჭინავას ინტერესებს. ის ძალიან კარგი ფეხბურთელია, გვერდში გვედგა პირველივე დღიდან და მას მხოლოდ დიდი მადლობა ეკუთვნის... ამ ფორმაციის „რუსთავი“ თამაშობს პლეიმეიკერის გარეშე და ესაა სწორედ მთავარი მიზეზი იმისა, თუ რატომ არ ჰქონდა მას სათამაშო პრაქტიკა. კონტრაქტით სიჭინავა რჩება „რუსთავის“ ფეხბურთელად.

ლევან სილაგაძე

- შესაძლებელია, რომ „რუსთავი“ კიდევ რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვოს?

- შეიძლება, იყოს ამაზე ლაპარაკიც, მაგრამ ამ ეტაპზე გადაწყვეტილი არაფერია.

- რამდენად დიდია მთავარი მწვრთნელის, ვლადიმირ გაზაევის ნდობის ვოტუმი?

- პირველ ტურში ჩვენ დავამარცხეთ თბილისის „დინამო“. ამის შემდეგ წავაგეთ მოქმედ ჩემპიონთან და თასის მფლობელთან. კარგად გვესმის, რომ არის სირთულეები, როცა საქმე ეხება ახალ გუნდს. არის შეთამაშების მომენტი...

- რაც შეეხება სტადიონის პრობლემას...

- როგორც იცით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა, თავად ლევან კობიაშვილია დაინტერესებული ამ საკითხის მოგვარებით. ბოლო ფაზაშია სტადიონის გადმოცემის საკითხი და ამის შემდეგ ფედერაციის ხელშეწყობით დაიგება ბუნებრივი საფარი. სადღეისოდ, გუნდი მოკლებულია საშინაო კედლებში თამაშის საშუალებას. ის კი არა, ვერც ვვარჯიშობთ მშობლიურ ქალაქში. იმედია, ყველაფერი მალე მოგვარდება.

ალეკო კაკაურიძე

გიორგი განუგრავა
ბათუმის დინამოში იმუშავებს

11 იანვარს „სამტრედიაში“ ჩარიცხული **გიორგი განუგრავა** ამ კლუბის ფეხბურთელი აღარ არის - ეს ინფორმაცია ფეხბურთელმა დაგვიდასტურა.

„იყო გარკვეული პრობლემები და კონტრაქტი ორმხრივი შეთანხმებით გაწყდა. საბოლოოდ, მე და ლობჟანიძე გუნდიდან წამოვედით“, - ამბობს განუგრავა, რომელსაც ხელშეკრულების მიხედვით, სამტრედიაში 2018 წლის ბოლომდე უნდა ეთამაშა.

სამტრედია

განუგრავა წავიდა, ლობჟანიძე?

ინფორმაცია კლუბმაც გაავრცელა: *„22 მარტს გიორგი განუგრავა „სამტრედიას“ რიგებს ოფიციალურად გამოეთიშა. კლუბსა და ნახევარმცველს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გიორგი განუგრავა „სამტრედიას“ რიგებში აღარ ირიცხება“.*

ამასობაში, ბათუმის „დინამოს“ ცნობით, განუგრავა აჭარულ კლუბს თავისუფალი აგენტის სტატუსით შეურთდა და 2-წლიან კონტრაქტსაც მოაწერა ხელი.

არ დადასტურებულა ინფორმაცია, თითქოს, „სამტრედიასთან“ ხელშეკრულება **უჩა ლობჟანიძემაც** გაწყვიტა. შევიტყვეთ, რომ საქართველოს ნაკრების მცველს კონტრაქტი არ გაუწყვეტია. ის კლუბს 14 თებერვალს, თურქულ შეკრებაზე შეუერთდა. მანამდე, ლობჟანიძე ყაზახეთის „ატირაუში“ თამაშობდა.

განუგრავამ მიზეზების დაკონკრეტება არ ისურვა. მან კომენტარი არც იმ გავრცელებულ ხმაზე გააკეთა, თითქოს, „სამტრედიასთან“ კონტრაქტის გაწყვეტის მიზეზი კოტდივუარელ **ინტერს გიისთან** კონფლიქტი იყო, ახალი კლუბის ვინაობა კი დაგვიდასტურა:

„რა მოხდა, ვის ვისთან რა შეემთხვა და რატომ წამოვედი, ამაზე ლაპარაკი უკვე უადგილოა. მთავარია, ერთმანეთს ცივილიზებულად დავშორდით და ჩემს კარიერაში „სამტრედიას“ პერიოდი დასრულდა. ახალ კლუბში გადავედი და ახლა უკვე მას ზე ვფიქრობ. რამდენიმე კლუბი დამიკავშირდა და საბოლოოდ, ბათუმის „დინამოში“ გია გეგეჭკორთან თამაში ვარჩიე“.

შეგახსენებთ, რომ ინტერს გიის თბილისის „დინამოსთან“ ეროვნული ლიგის მე-3 ტურის ცენტრალური შეხვედრაში არ უთამაშია, მეტიც - ის ვერც განაცხადში მოხვდა. არადა, 24 წლის კოტდივუარელ ფეხბურთელს წინა ტურში ბოლნისის „სიონთან“ არც ტრავმა მიუღია და არც დისკვალიფიკაცია ჰქონდა. „სამტრედიას“ მთავარი მწვრთნელის, **უჩა სოსიაშვილის** თქმით, ეს მისი გადაწყვეტილება იყო, თუმცა ამჟამად პრობლემა მოგვარებულია.

განუგრავა „სამტრედიას“ საკვანძო მოთამაშე იყო. ამას ემატება **მაიკლ ოლაიტანის** არყოფნაც. ბოლნისის „სიონთან“ შეხვედრისას ნიგერიელმა თავდამსხმელმა ფეხი მოიტეხა, ოპერაცია დასჭირდა და „სამტრედიას“ მაისის ბოლომდე ვერ დაეხმარება. ასე რომ, „სამტრედიას“ სერიოზულ საკადრო პრობლემებთან მოუწევს გამკლავება.

მერაბ მამულაშვილი

ლეგიონერი

გიორგი ხარაიშვილი

ამინდის გამო პრობლემები მქონდა

გიორგი ხარაიშვილი თებერვალში შვედეთში წავიდა. ის „გიოტებორგში“ ცდილობს თავის დამკვიდრებას და კარიერის აწყობას. 21 წლის ნახევარმცველმა საინტერესო თემებზე ილაპარაკა:

„სამშობლოსგან ძალიან შორს ვარ და შვედეთთან შეგუება გამიჭირდა. თუმცა ოჯახსა და ახლობლებთან ყოველდღიური კონტაქტი მაქვს. ამინდები იმაზე ცუდია, ვიდრე ველოდი. თუ თერმომეტრი -3 გრადუსს უჩვენებს, მიხარია, რადგან ხშირად -13 გრადუსია. ასეთ ამინდებში ვარჯიშს და თამაშს კი მიუჩვეველი ვარ. ასე რომ, ამინდის გამო პრობლემები მქონდა, მაგრამ ნელ-ნელა თბება და მეც ვეჩვევი იქაურობას. ამინდისგან განსხვავებით, შვედები ძალიან თბილი ხალხია და ნოსტალგიის მიუხედავად, როგორც კლუბი, ასევე „გიოტებორგის“ პერსონალი გვერდში მიდგანან. ყველანაირად ცდილობენ, ცხოვრების ახალ ეტაპს იოლად შევეგუო“, - ამბობს **გიორგი ხარაიშვილი.**

მან „გიოტებორგის“ სათამაშო სტილზეც ილაპარაკა: *„თამაშის სტილს ჩვენი მწვრთნელი, ისევე, როგორც ყველა სხვა სპეციალისტი, მეტოქიდან გამომდინარე არჩევს. თუმცა, პოია აგსბაგის ხელწერა მაინც კონტრშეტევაზე თამაშია. „საბურთალოსა“ და „გიოტებორგს“ განსხვავებული სათამაშო ტაქტიკა აქვს. ასეთი განლაგებით არასდროს მითამაშია, თუმცა, ვცდილობ, ახალი კლუბის სტილს შევეჩვიო. ოფიციალური და ამხანაგური მატჩები ვითამაშე და ახალ კლუბშიც „სტანდარტულებს“ მე ვასრულებ. მწვრთნელი მეუბნება, რომ უფრო მეტი ავიღო ჩემს თავზე, კარში ხშირად დავარტყა. შვედეთის პირველობა 1 აპრილს იწყება. მწვრთნელი ცდილობს, თავი კომფორტულად ვიგრძნო და ყველანაირად ხელი შემიწყოს. სასიამოვნოა, როცა უცხო კლუბში ხარ და მწვრთნელისგან ასეთ მხარდაჭერას გრძნობ“.*

ხარაიშვილი აღტაცებულია „გიოტებორგის“ ქომაგებით: *„გუნდს საოცარი გულშემატკივრები ჰყავს, ამხანაგურ თუ ოფიციალურ მატჩებზე სტადიონი სავსეა. ქომაგები მთელი თამაშის განმავლობაში ბოლომდე გვამხნევებენ და გვერდში გვიდგანან, არა აქვს მნიშვნელობა, რა ანგარიშია. თამაშების შემდეგ პირად შეტყობინებებში მოლოცვები და მადლობები არ წყდება. ძალიან თბილად და იმედიანად მიმიღეს. ვგრძნობ, ჩემი სჯერათ, მეც მათი გვერდში დგომის მეტი არაფერი მჭირდება. სხვათა შორის, შვედეთში ქომაგებს ქართულ ფეხბურთზე ზოგადად სმენიათ. კონკრეტულად „საბურთალოს“ მიმართ გარკვეულ სიახლეებს ახლა ეცნობიან. მეც ვცდილობ, ჩემი ყოფილი კლუბი მაქსიმალურად გავაცნო“.*

ხარაიშვილმა „საბურთალოსადმი“ მადლიერება გამოხატა: *„შვედეთში ძალიან თბილად მიმიღეს და რომ არა ეს ფაქტორი, „საბურთალოსთან“ განშორება კიდევ უფრო გამიჭირდებოდა. ეს გუნდი ჩემი ოჯახია. ადგილი, სადაც პიროვნულად გავიზარდე და ფეხბურთელად ჩამოვყალიბდი. 12 წლის ვიყავი, „საბურთალოში“ რომ ჩავირიცხე. ჩემი პირველი მწვრთნელი გიორგი მიქაძე იყო. მიუხედავად ჩემი პატარა ასაკისა, თავიდანვე ცხადი იყო, რომ „საბურთალო“ მხოლოდ გუნდი კი არა, ერთი დიდი ოჯახი იყო. ასაკის მატებასთან ერთად, ეს განცდა უფრო და უფრო მიძლიერდება. რა დროც უნდა გავიდეს და სადაც უნდა ვიყო, „საბურთალო“ ჩემში წარუშლელ მოგონებებსა და გრძნობებს დატოვებს და ყოველთვის მომენატრება. წელს გუნდს კარგი სტარტი ჰქონდა. „საბურთალო“ ყოველთვის გუნდურ ფეხბურთს თამაშობდა და ყოველი ფეხბურთელი ბოლომდე იხარჯებოდა. ასეა ახლაც. ეს ყველაფერი ჩვენში გიორგი ჭიაბრიშვილის დანერგილია. საქართველოს ახალ ჩემპიონატში „საბურთალოს“ იდეალური სტარტი აქვს და მჯერა, სეზონის ბოლომდე ასე გააგრძელებს. მგონია, რომ კლუბი სამეულში ადგილს აუცილებლად დაიმკვიდრებს - „საბურთალო“ ამას იმსახურებს. გუნდს ყოველთვის ჰქონდა პოტენციალი, რომ მაღალი მიზნებისთვის ებრძოლა. ამის შესაძლებლობა განსაკუთრებით შარშანდელ ჩემპიონატში გამოჩნდა. თუმცა ხელი ფეხბურთელების ხშირმა ტრავმებმა შეგვიშალა. მაგრამ ჭიაბრიშვილი გამოსავალს ყოველთვის მალე პოულობს - მიუხედავად ტრავმებისა, გუნდი მალევე აათამაშა და გუნდმა მეორე წრე მაღალ დონეზე ჩაატარა. ევროპაზე მოსახვედრად სულ ცოტა დაგვაკლდა. მჯერა, ჭიაბრიშვილის ხელმძღვანელობით „საბურთალოს“ ყველაფრის გაკეთება შეუძლია“.*

მერაბ მამულაშვილი

ბავშვთა ფეხბურთი

საქმის კეთება პატარა მოედანზეც შეიძლება

ვაკე იმის თვალსაჩინო მაგალითია, ბოლო 20 წელიწადში საკუთარ ქვეყანას და ფეხბურთს რაც დავმართეთ: თბილისში 40-მდე სტანდარტული და სამჯერ მეტი მინისტადიონი დაიკარგა, ეს კი განსაკუთრებით ვაკეს დაეტყო, სადაც ეგრეთ წოდებული „სტუდაქალაქის“ სტადიონი განადგურდა და სამშენებლო პოლიგონად იქცა. შემდეგ კი ქალაქის ბიუჯეტის შევსების საჭიროებას „ირაოს“ სკოლაც შეეწირა.

დღეისთვის, ერთადერთი საფეხბურთო სკოლა ვაკეში, სადაც ბავშვები ბურთს აგორებენ, სპორტის აკადემიასთან მდებარე „ჩემპიონია“. იქაც ბავშვები მხოლოდ მინიმოედანზე ვარჯიშობენ. „ჩემპიონს“ უკვე 10 წელი შეუსრულდა, რაზეც მისი დამფუძნებელი, ვეტერანი ფეხბურთელი **ოთარ კორღალიძე** გველაპარაკა.

„10 წლის წინაც კარგად ჩანდა, რომ თბილისში მშენებლობების ბუმი სტადიონებს წალეკავდა. ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ ერთი მოედანი მაინც მოგვეწყო, სადაც ბავშვებს საწყის ასაკში მაინც ვავარჯიშებდით. აკადემია მე, გია მაჭარაშვილმა და გუგა გუგუშვილმა დავაფუძნეთ. სპორტის უნივერსიტეტის უკან მდებარე ტერიტორიაზე მოედანი მოვაწყვეთ და „ჩემპიონი“ დავაფუძნეთ. მიუხედავად იმისა, რომ მოედანი პატარაა, ჩვენთან ვარჯიში ბევრმა საინტერესო ბავშვმა დაიწყო. მაგალითად, 19-წლამდელთა ნაკრებშია მცველი გიორგი ჯინჯოლავა, რომელიც ახლა „საბურთალოს“ ძირითადში ვარჯიშობს. ამას გარდა, „დინამოს“ ძირითად გუნდში გადაიყვანეს ბექა დარციმელია, ხოლო 5 ფეხბურთელი, ვინც ფეხი „ჩემპიონში“ აიდგა, 17-წლამდელთა ნაკრებშია. ჩვენთან ვარჯიშობდა უნიჭიერესი დაჩი ლორთქიფანიძეც, რომელიც ახლა იტალიაშია და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ანუ იმის თქმა მსურს, რომ საქმის კეთება ამ პატარა მოედანზეც შეიძლება“, - ამბობს კორღალიძე.

ოთარ კორღალიძე

ვეტერან ფეხბურთელს სკოლის განვითარების პერსპექტივაზეც ველაპარაკეთ: *„ჩვენ ვთანამშრომლობთ „საბურთალოსთან“, „დინამოსა“ და 35-ე სკოლასთან. სამწუხაროდ, სპორტის აკადემიის დიდ მოედანზე ვერ შევდივართ - ის მორგებებმა იქირავეს. ისედაც, მოედანი ცუდ მდგომარეობაშია და ვარჯიში შეუძლებელია. არადა, სკოლის განვითარება სტანდარტული მოედნის გარეშე წარმოუდგენელია და ახლა ამ პრობლემის მოგვარებაზე ვფიქრობთ. წერილით მივმართეთ ეკონომიკის სამინისტროს, სტანდარტული მოედანი ან ტერიტორია რომ გადმოგვცენ. ამაში კულტურისა და სპორტის სამინისტროც გვეხმარება, ისევე, როგორც სპორტის აკადემიის რექტორი გურამ ძაგანია და ლადო ბოჟაძე. სხვაგვარად, განვითარება წარმოუდგენელია. საერთოდაც, ვაკის რაიონისა და მიმდებარე უბნებში სტადიონები თითქმის არ დარჩა და ამ პრობლემის მოგვარება აუცილებელია“.*

მერაბ მამულაშვილი

მშვიდობა დიუსელდორფში

გერმანია-ესპანეთი 1:1

გოლები: 0:1 როდრიგო (6), 1:1 მიულერი (35)
გერმანია (4-2-3-1): ტერ შტეგენი - კიმიხი, ბოატენგი, ჰუმელსი, ჰექტორი - ხედირა (53. გიუნდოგანი), კროოსი - მიულერი (81. გორეტცკა), იოზილი, დრაქსლერი (68. სანე) - ვაგნერი (84. გომესი)
ესპანეთი (4-3-3): დე ხეა - კარვახალი, პიკე (51. ნაჩო), ს. რამოსი, ალბა - კოკე, ტიაგო ალკანტარა (82. რ. ერნანდესი), ინიესტა (46. საულ ნიგესი) - დ. სილვა (71. ლ. ვასკესი), როდრიგო (65. დიეგო კოშტა), ისკო (59. ასენსიო)

თომას მიულერი ანდრეს ინიესტას წინააღმდეგ

დიუსელდორფში მშვიდობა იყო - მსოფლიოს ამჟამინდელმა ჩემპიონმა წინას ვერ აჯობა - 1:1. **ანდრეს ინიესტას** გამჭოლი პასის წყალობით „ფურია როხა“ ვალენსიელმა **როდრიგო** მორენომ დააწინაურა, მაგრამ **თომას მიულერმა** სუპერგოლით მასპინძელთა მარცხი არ დაუშვა.

სერხიო რამოსი (ესპანეთი): *„ნაკრების მაისურით 13 წელი თამაში და 150-ე მატჩის გამართვა მართლაც რომ საოცარია. ეს მწვრთნელების, თანაგუნდელებისა და ფანების წყალობით გახდა შესაძლებელი“.*

დავიდ დე ხეა (ესპანეთი): *„ეს იყო პოზიტიური ტესტი ძალიან ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ. კიდევ ერთი ნაბიჯით მივუახლოვდით მუნდიალს, სამშაბათს დიდი მატჩი გველის“.*

ხულიენ ლოპეტეგი (ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი): *„არც ერთ გუნდს არ მიუჩნევია ეს მატჩი ამხანაგურად. ორივემ შემტევი ფეხბურთი ითამაშა საკუთარი სტილით, რითაც პუბლიკამ იხეირა. ძალიან პოზიტიური განწყობა დატოვა ამ დაპირისპირებამ“.*

ტონი კროოსი (გერმანია): *„სამართლიანი შედეგია. ორივემ კარგი თამაში ვაჩვენეთ. ჩვენ უკვე ფორმაში ვართ“.*

თომას მიულერი (გერმანია): *„ორივე გუნდში ბევრი კარგი ფეხბურთელია, მატჩი შესაძლოა, 2:2 ან 3:3 მორჩენილიყო“.*

იოახიმ ლიოვი (გერმანიის მწვრთნელი): *„გადამწყვეტი უპირატესობა არც ერთ გუნდს არ ჰქონია. ჩვენ კიდევ უნდა მოვუმატოთ“.*

ფაქტები

*** ამ გუნდებმა 23-წლიანი პაუზის შემდეგ პირველად ითამაშეს ფრე.**
*** სერხიო რამოსმა (ესპანეთი) ნაკრებში 150-ე შეხვედრა ითამაშა (113 მოგება)**
*** როდრი ერნანდესი გახდა მე-10 ფეხბურთელი, ვისაც ხულიენ ლოპეტეგის მწვრთნელობისას ჰქონდა დებიუტი ნაკრებში. ისე კი, როდრი ესპანეთის ნაკრების ისტორიაში 781-ე ფეხბურთელია.**
*** გერმანიის ნაკრებს 22 თამაშია, რაც არ წაუგია. ეს გუნდის მეორე ყველაზე გრძელი წაუგებელი სერიაა ისტორიაში.**
*** გერმანიის ნაკრების ბოლო 7 გოლი 7-მა სხვადასხვა ფეხბურთელმა გაიტანა.**
*** თომას მიულერმა (გერმანია) ნაკრებში 90-ე მატჩი გამართა და რუდი ფიოლერს გაუტოლდა.**

კოლუმბიური სასწაული

საუკეთესოები: თომა ლემარი ხამესის წინააღმდეგ

საფრანგეთი-კოლუმბია 2:3

გოლები: 1:0 ჟირუ (11), 2:0 ლემარი (26), 2:1 მურიელი (28), 2:2 ფალკაო (62), 2:3 კინტერო (85-პენ)
საფრანგეთი (4-2-3-1): ლორისი - სიდიბე, ვარანი, უმტიტი, დინი (76. ლ. ერნანდესი) - კანტე, მატუიდი (65. პოგბა) - მბაპე (66. უ. დემბელე), გრიზმანი (83. ტოვენი), ლემარი - ჟირუ (73. ბენ იედერი)
კოლუმბია (4-2-3-1): ოსპინა - არიასი, მინა, დ. სანჩესი, ფაბრა - აგილარი (67. ლერმა), კ. სანჩესი - ურიბე (90. ბარიოსი), ხ. როდრიგესი (83. კინტერო), მურიელი (77. ისკიერდო) - ფალკაო (68. საპატა)

დიდიე დეშამის გუნდმა 2-გოლიანი უპირატესობა გაანიავა - სამი გოლი გაუშვა და მუნდიალისთვის მზადება მარცხით დაიწყო. დეშამმა 4-4-2 სისტემაში **პოლ პოგბას** ადგილი ვერ გამოძებნა („იუნაიტედის“ ნახევარმცველი მხოლოდ მეორე ტაიმში გამოჩნდა). „სტად დე ფრანსზე“ საუკეთესოდ **თომა ლემარი** წარმოჩნდა, სტუმართა რიგებში კი ორი საგოლე პასი **ხამეს როდრიგესმა** მიითვალა.

დიდიე დეშამი (საფრანგეთის მწვრთნელი): *„ბევრი პრობლემა შეგვექმნა, მეტოქემ აგრესიულად ითამაშა, ჩვენ ეს ვერ შევძელით. აგრესიული თამაშით კოლუმბიელებმა საფეხბურთო გაკვეთილი ჩაგვიტარეს. ბურთის ხშირმა დაკარგვებმა მეტოქეს თამაშის შემოტრიალების შანსი მისცეს. მეორე ტაიმში ისე ვითამაშეთ, გარკვეული ხანი მოვუნდები მის ანალიზს, კარგი ბევრი არაფერია. საკუთარ ფანებთან საბოდიშო გვაქვს, შინ წაგება არასოდეს არის იოლად მოსანელებელი“.*

რაფაელ ვარანი (საფრანგეთი): *„თამაში ძალიან კარგად დავიწყეთ, შემდეგ კი კონცენტრაცია დავკარგეთ. 90 წუთი ერთ დონეზე უნდა ითამაშო, მით უფრო, ასეთ აგრესიულ მეტოქესთან. გვქონდა ინდივიდუალური სახის შეცდომების“.*

ფაქტები

*** ოლივიე ჟირუმ ბოლო 9 სანაკრებო მატჩში 9 გოლი გაიტანა.**
*** ჟირუს ანგარიშზე 70 მატჩში 30 გოლია. ის ჟიუსტ ფონტენსა და ჟან-პიერ პაპენს გაუთანაბრდა. შემდეგი ზინედინ ზიდანია (31 გოლი).**
*** კილიან მბაპემ ბოლო სამ სანაკრებო მატჩში თითო საგოლე პასი გააკეთა. ანტონი მარსიალის (2015) შემდეგ, ეს ვერავინ შეძლო საფრანგეთის ნაკრებში.**
*** ანტუან გრიზმანმა (საფრანგეთი) ნაკრებში 50-ე მატჩი ითამაშა (6 გოლი, 4 საგოლე პასი).**
*** საფრანგეთის ნაკრები მეოთხედ ეთამაშა კოლუმბიას და პირველად დამარცხდა (3 მოგება აქამდე).**

რონალდო სალაჰი 2:1

კრიშტიანო რონალდოს თავურებმა მიზანს ორჯერ უწია

პორტუგალია-ეგვიპტე 2:1

გოლები: 0:1 სალაჰი (56), 1:1 რონალდო (92), 2:1 რონალდო (94)
პორტუგალია (4-4-2): ბეტუ - სედრიკი, როლანდო, ბ. ალვეში, გერეირო - ჟოაო მარიო (61. კვარეშმა), ნევეში (76. ფერნანდეში), ჟოაო მოუტინიო (61. ანდრე გომეში), ბ. სილვა (68. მარტინში) - ანდრე სილვა (76. გედეში), რონალდო
ეგვიპტე (4-3-3): ალ შენავი - ფათჰი, გაბრი, ჰეგაზი, აბდულ შაფი - ელ-საიდი (66. ვარდა), ელნენი, ჰამედი (87. აშური) - სალაჰი (79. აბდელრაზეკი), ჰასანი (62. მოჰსენი), ტრეზეგე

შვეიცარიულ ციურიხში ამ ორი გუნდის ლიდერთა დაპირისპირება ყველას აინტერესებდა - **მოჰამედ სალაჰი კრიშტიანო რონალდოს** წინააღმდეგ. სანამ **კუპერის** გუნდი იგებდა, უპირატესობა ლივერპულელის მხარეს იყო, მით უფრო, რომ „მოჭრილი“ დარტყმით გოლი სწორედ სალაჰმა გაიტანა ევროპის ჩემპიონთა კარში, მაგრამ მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში შეცვლაზე შესულმა **კვარეშმამ** ორჯერ ჩააწოდა საჯარიმოში, ორჯერვე თავით ყველას კრიშტიანომ დაასწრო და პორტუგალიამ იმარჯვა. სხვათა შორის, მეორე გოლზე ვიდეორეფერის დახმარება გახდა საჭირო.

ფერნანდო სანტუში (პორტუგალიის მწვრთნელი): *„პირველ ტაიმში უფრო კოლექტიური ფეხბურთი ვითამაშეთ, მეორისგან კი მეტს ველოდი. ორ-*

ზლატანი ამერიკაში წავიდა

36 წლის ზლატან იბრაჰიმოვიჩმა „მანჩესტერ იუნაიტედთან“ კონტრაქტი გაწყვიტა და კარიერას ამერიკის შეერთებულ შტატებში გააგრძელებს. ის „ლოს ანჯელეს გალაქსიში“ ჩაირიცხა. მიმდინარე სეზონში მან მხოლოდ 5-ჯერ ითამაშა ჟოზე მოურინიოს გუნდის შემადგენლობაში.

„ბექჰემთან მქონდა კონსულტაციები და ამის შემდეგ მივიღე ასეთი გადაწყვეტილება. ვფიქრობ, სწორი არჩევანი გავაკეთე. რაც შეეხება მუნდიალს, ჯერ არ გადამიწყვეტია - თუ საჭიროდ ჩავთვლი, მსოფლიოს ჩემპიონატ ზე ვითამაშებ“, - თქვა შვედმა.

კეინს ბაიერნში ელიან

ესპანური „მარკას“ ცნობით, ზაფხულში „ბაიერნის“ მთავარი სატრანსფერო მიზანი „ტოტენჰემის“ ფორვარდ ჰარი კეინის გადაბირება იქნება. ინგლისის ნაკრების 24 წლის შემტევი „რეკორდმაისტერს“ რობერტ ლევანდოვსკის შემცვლელად სჭირდება, ვინც „რეალში“ აპირებს წასვლას. გავრცელებული ინფორმაციით, მომავალი ტრანსფერის თაობაზე „ბაიერნის“ წარმომადგენლები უკვე ესაუბრნენ „დეზების“ დამრიგებელ მაურისიო პოჩეტინოს.

უილშირი სახლში, გოშესი?

იტალიასთან ამხანაგურ შეხვედრაში ინგლისს „არსენალის“ ცენტრა-

სამბა ლუჟნიკიში

მარსელო რუსების გარემოცვაში

რუსეთი–ბრაზილია 0:3

გოლები: 0:1 მირანდა (53), 0:2 კოუტინიო (62-პენ), 0:3 პაულინიო (66)

ბრაზილია (4-3-3): ალისონი - დანი ალვეში (83. ფაგნერი), ტიაგო სილვა, მირანდა (86. ჟერომელი), მარსელო - კოუტინიო (79. ფრედი), კაზემირო, პაულინიო (71. რენატო აუგუშტუ) - ვილიანი (79. ტაისონი), გაბრიელ ჟეზუში (65. ფირმინო), დუგლას კოშტა.

ბრაზილიის ეროვნულმა ნაკრებმა ამხანაგურ შეხვედრაში 3:0 მოუგო მუნდიალის მასპინძელ რუსეთს, და ეს - **ნეიმარის** გარეშე. მოგეხსენებათ, მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი უპირველესი ვარსკვლავი ტრავმირებულია და მშობლიურ ნაკრებს ჯერ-ჯერობით ვერ ეხმარება.

რა თქმა უნდა, ბრაზილიის ნაკრები მუნდიალის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია. ეს კიდევ ერთხელ დამტკიცდა „ლუჟნიკიში“. პირველ ტაიმში მასპინძლები სამხრეთამერიკელებს მედგრად კი დაუდგნენ, მაგრამ მეორე ნახევარში კლასმა თავისი გაიტანა.

როგორც ჩანს, ჩაგდებული პირველი ტაიმის შემდეგ ბრაზილიელთა დამრიგებელმა **ტიტემ** მაგრად დატუქსა შეგირდები და მათაც მეორე ნახევარში, რასაც ჰქვია, ფეხბურთის თამაში დაიწყეს. რუსეთის ნაკრები მართლაც რომ საშინელ დღეში ჩავარდა. ბრაზილიელები ერთმანეთის მიყოლებით ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს და შეტევაში ჩართულმა მცველმა **ჟოზე მირანდამ** თამაშის განახლებიდან მალევე ანგარიშიც გახსნა.

ამის შემდეგ ბრაზილიელთა უპირატესობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა. ჯერ იყო და, 11-მეტრიანი დარტყმით **ფილიპე კოუტინიომ** გაზარდა სხვაობა, საბოლოო წერტილი **პაულინიომ** დასვა.

„ბარსელონას“ საყრდენი ნახევარმცველი ძალიან აქტიური იყო მთელი შეხვედრის განმავლობაში. მან ორი დიდებული საგოლე მომენტიც გააცუდა. განსაკუთრებით კომიკური იყო სიტუაცია, როცა მან, ფაქტობრივად ცარიელ კარში, **სერგეი აკინფეევს** ბურთი მაინცდამაინც იმ კუთხეში მოარტყა, რომელსაც ასე თუ ისე იცავდა.

საერთოდ, აკინფეევი საუკეთესო იყო რუსეთის ნაკრებში - ხელით, ფეხით თუ თავით(!) მან რამდენიმე რეალური მომენტი განმუხტა. მის თანაგუნდელებსაც მართებთად ორ-სამ სიტუაციაში თავის გამოჩენა, განსაკუთრებით იმ ეპიზოდში, როცა **ტიაგო სილვამ** ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანა...

„მოხარული ვარ იმ თამაშის გამო, რომელიც აჩვენა ჩვენმა გუნდმა. მთლიანობაში, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ შევძელით იმ დავალების შესრულება, რომელიც მივეცით ფეხბურთელებს. ამისთვის დიდი მადლობა მათ! ჩვენი მეორე ტაიმი გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე პირველი. ეს ფაქტია. ალბათ, შეჩვევის მომენტი იყო. კომპლიმენტები ეკუთვნის ჩვენს მეტოქესაც. ჩერჩესოვმა ნიჭიერი თაობა გამოიყვანა ასპარეზზე“, - თქვა ბრაზილიელთა დამრიგებელმა.

განიზებულობა გვაკლდა. სასიხარულოა, რომ გუნდმა არაფრით არ მიიღო მარცხი და დამსახურებულადაც იმარჯვა, მაგრამ აუცილებლად უნდა მოვუმატოთ. ფერნანდეშმა და კვარეშმამ გუნდს მეტი შანსი მისცეს მოედანზე გამოსვლის შემდეგ“.

ფაქტები

*** მოჰამედ სალაჰმა (ეგვიპტე) ბოლო 14 მატჩში (კლუბში და ნაკრებში) 16 გოლი გაიტანა.**

*** კრიშტიანო რონალდომ (პორტუგალია) 81 გოლი გაიტანა ნაკრებში. მოქმედ მოთამაშეებში ეს საუკეთესო შედეგია ყველა ეროვნულ გუნდში.**

ლური ნახევარმცველი ჯეკ უილშირი დააკლდება. მიზეზი მუხლის ტრავმაა. ასევე დაშავდა „ლივერპულის“ მცველი ჯო გომესი, თუმცა ამ დროისთვის ის მაინც რჩება გარეთ საუთგეიტის განკარგულებაში. შეგახსენებთ, რომ ჰოლანდიასთან მატჩში ლივერპულელი გომესი მე-10 წუთზე შეცვალეს.

მესის გარეშეც...

არგენტინა–იტალია 2:0

გოლები: 1:0 ბანეგა (75), 2:0 ლანსინი (85)

არგენტინა (4-2-3-1): კაბალიერო - ბუსტოსი (88. მერკადო), ოტამენდი, ფასიო, ტალიაფიკო - პარედესი (64. ბანეგა), ბილია - ლანსინი, ლო სელსო (76. პავონი), დი მარია (64. პეროტი) - იგუანი.

იტალია (4-3-3): ბუფონი - ფლორენცი (60. სპინაცოლა), ბონუჩი, რუგანი, დე შილიო - პაროლო (60. პელეგრინი), ვერატი (70. კრისტანტე), ჟორჟინიო (86. ბელოტი) - კიეზა (60. კანდრევა), იმობილე (64. კუტრონე), ინსინიე.

არგენტინის ნაკრებმა ახალი „სკუადრა აძურა“ მანჩესტერის „ეტიჰადზე“ დაამარცხა. **ხორხე სამპაოლიმ** ბოლოსლა მოუგო დუელი **ლუიჯი დი ბიაჯოს**, რომელიც იტალიელთა დროებითი დამრიგებელია (სრულუფლებიანი მწვრთნელი იტალიელებს 20 მაისიდან ეყოლებათ). ნაკრებში დაბრუნებულმა **ჯანლუიჯი ბუფონმა** მატჩის მიწურულს ორჯერ გამოიტანა ბურთი ბადიდან.

არგენტინელთა მწვრთნელმა სამპაოლიმ სასტარტო შემადგენლობით ყველა გააკვირვა. თადარიგში იყო... **ლიონელ მესი**. მეორე ტაიმში, როცა მინდორზე შედარებით გამოცდილი არგენტინელები შევიდნენ, ყველაფერი დალაგდა.

იტალიის ნაკრების თამაშში ბევრი წუნი იყო და ეს სავსებით გასაგებია. ზოგადად იტალიურ ფეხბურთშიც ბევრი წუნია. არგენტინას მესის გარეშეც დიდად არ გასჭირვებია დი ბიაჯოს გუნდის დამარცხება. იტალიელმა მიმომხილველებმა „აძურაში“ საუკეთესოდ 40 წლის ბუფონი მიიჩნიეს და მართალიც არიან.

„მატჩი ორი განსხვავებული ტაიმისაგან შედგებოდა. ფაქტია, ეს იყო ჩვენი გუნდისთვის ძალიან დიდი გამოცდილება. პირველი ნახევარი ძალიან კარგად ვითამაშეთ. საერთოდ, მიმაჩნია, რომ სწორ გზაზე ვართ. ამ ნაკრებს მომავალი აქვს და ამას დრო დაამტკიცებს. უბრალოდ, თავი უნდა დავიზღვიოთ იმ შეცდომებისგან, რომელიც დღეს გვქონდა“, - თქვა მატჩის დასრულების შემდეგ დი ბიაჯომ.

„ჩვენ კარგი მეორე ტაიმი გვქონდა. პირველი ნახევრის შემდეგ ყველანაირად ვეცადეთ, გამოგვესწორებინა შეცდომები... რაც შეეხება ლიონელ მესის, ჩვენ არ გვსურდა ზედმეტი რისკი და მან ამის გამო დაისვენა. ესპანეთთან შეხვედრაში ის აუცილებლად ითამაშებს“, - თქვა სამპაოლიმ.

ექსპერიმენტის ნაყოფი

რიაა 2014 წლის ივნისსა და 2015 წლის ოქტომბერს შორის პერიოდის შემდეგ, როცა როი ჰოჯსონის თავკაცობით ზედიზედ 15 მატჩში არ დამარცხებულა.

*** ინგლისის ნაკრები არ დამარცხებულა ჰოლანდიასთან ამსტერდამში ჩატარებულ 7 მატჩში (3 მოგება, 4 ფრე). ჰოლანდიასთან ინგლისელთა ერთადერთი მარცხი მოდის როტერდამზე (1993 წლის ოქტომბერი).**

*** 2014 წლის ოქტომბრის შემდეგ ინგლისის ნაკრებმა პირველად შეძლო ზედიზედ 5 მატჩში კარის „მშრალად“ შენახვა. წინა სერიაც როი ჰოჯსონის მწვრთნელობის პერიოდს უკავშირდება.**

ჰოლანდია–ინგლისი 0:1

გოლი: 0:1 ლინგარდი (59)

ჰოლანდია (3-4-3): ზუტი - დე ლიგტი, დე ვრეი (89. ვეგჰორსტი), ვან დაიკი - ჰატებური, ვეინალდუმი, სტროოტმანი (90. ვან დე ბეეკი), ვან აანჰოლტი - პრომესი (66. პროპერი), დეპაი, დოსტი (66. ბაბელი).

ინგლისი (3-4-3): პიკფორდი - უოლკერი, სტოუნზი, გომესი (10. მეგუაირი/89. დაიერი) - ტრიპიერი, ოქსლეიდ-ჩემბერლენი, ჰენდერსონი, როუზი (71. იანგი) - სტერლინგი (68. უელბეკი), ლინგარდი (68. ალი), რაშფორდი (68. ვარდი).

ჯესი ლინგარდს გააქვს გოლი ჰოლანდიელთა კარში

ამსტერდამის „იოჰან კრუიფ არენაზე“ გამართულ სპარინგს ორივე გუნდისთვის კონკრეტული დანიშნულება ჰქონდა. ინგლისის ნაკრები რუსული მუნდიალისთვის ემზადება, ჰოლანდიის ეროვნულ გუნდში კი მთავარი მწვრთნელის პოსტზე დებიუტი ჰქონდა **რონალდ კუმანს**, რომელიც ახალი გუნდის შენებას შეუდგა. „ტიტები“ ვერ მოხვდნენ მსოფლიოს ჩემპიონატზე და ერთა ლიგის დაწყებამდე ახალ მწვრთნელს უფრო მეტი დრო აქვს ექსპერიმენტებისთვის.

თუმცა ექსპერიმენტებზე არც **გარეთ საუთგეიტს** უთქვამს უარი. მან სამკაციან დაცვაში დააყენა **კაილი უოლკერი**, ვინც ტრადიციულად მარჯვენა ფლანგის მოთამაშეა და სწორედ ამ პოზიციაზე ფასობდა. თუმცა უოლკერმა ახალ როლშიც კარგად ითამაშა და BBC-ის ექსპერტთაგან მატჩის საუკეთესო მოთამაშის ტიტულიც ირგუნა.

ჰარი კეინის ტრავმის გამო, იძულებითი ექსპერტიმენტი იყო ცენტრფორვარდად **ჯესი ლინგარდის** გამწესება. საუთგეიტს აქაც გაუმართლა - სწორედ „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემტევი იყო, ვინც გამარჯვების გოლი გაიტანა: შეტევა ბოლო ფაზაში თავადვე განავითარა და **დენი როუზის** ფლანგური პასის შემდეგ მცველის მიერ უხერხულად მოგერიებულ ბურთს დაახლოებით საჯარიმოს ხაზიდან დაბალ კუთხეში მიუჩინა ადგილი.

ჰოლანდია წვალობდა, ინგლისის ნაკრები კი გაცილებით სოლიდური იყო - უტევდა, როცა საჭირო იყო, თავსაც კარგად იცავდა, ბურთსაც აკონტროლებდა, თუმცა ჯერ ადრეა იმის თქმა, რეალურად რისი მიღწევა შეუძლია ზაფხულის მსოფლიო საფეხბურთო ფორუმზე.

ფაქტები

*** ევრო 96-ის შემდეგ ინგლისმა პირველად დაამარცხა ჰოლანდია, დაასრულა რა 7-მატჩიანი მოუგებელი სერია.**

*** ინგლისის ნაკრები დაუმარცხებელია ბოლო 7 მატჩში (5 მოგება, 2 ფრე). ეს „სამი ლომის“ ყველაზე გრძელი სერია.**

რაგბი. ლეგიონი

გორგოძე დაბრუნდა და გაიტანა

მამუკა გორგოძე

მამუკა გორგოძე, რომელსაც ტრავმის გამო თითქმის სამი თვე გაუცდა, მოსალოდნელზე ადრე გამოჯანმრთელდა და საფრანგეთის ჩემპიონატის 22-ე ტურის მატჩში „კლერმონის“ წინააღმდეგ შეცვლაზე ითამაშა. ტულონელებმა ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი მშრალი ანგარიშით 49:0 დაამარცხეს. გორგოძემ, რომელიც თამაშში 62-ე წუთიდან ჩაერთო, შვიდ წუთში ლელო გაიტანა. მან „ვულკანების“ ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში წარმოქმნილი რაკიდან ბურთი აიტაცა და ჩვეულ სტილში ლელოში გადადო.

„კლერმონის“ რიგებში ტრავმის შემდეგ ითამაშა **დავით ზირაქაშვილმა**, რომელიც ძირითად შემადგენლობაში იყო და 48-ე წუთზე შეცვალეს, **ლევან ჩილაჩავა** მოედანზე 53-ე წუთიდან გამოჩნდა, **ოთარ გიორგაძე** თამაშში 65-ე წუთიდან ჩაერთო.

ბესიკ ჯანგავაძე

სუმო. ჰარუ ბაშო. 11-25 მარტი

98 კენშო და ბრწყინვალე ასპარეზობის პრიზი

ტოჩინოშინი სპეციალური პრიზით დააჯილდოვეს

30 წლის **ლევან გორგაძემ** (**ტოჩინოშინი**) წლის მეორე სუპერტურნირზე (ჰარუ ბაშო) ბრწყინვალედ იასპარეზა. დასავლეთის სეკივაკეს რანგში მოჭიდავე ქართველმა 15-დან 10 ორთაბრძოლა მოიგო, თანაც, მაღალი კლასის სუმო აჩვენა და სუმოს ასოციაციისგან ბრწყინვალე ასპარეზობის სპეციალური პრიზი დაიმსახურა. მან ეს პრიზი (შუკუნ-შო) კარიერაში მეორედ მიიღო. პირველად ეს მისთვის ტრიუმფალურ იანვრის ბაშოზე მოხდა, როცა ქართველი ისტორიაში მესამე ევროპელი გახდა, ვინც იაპონიის იმპერატორის თასი მოიგო. ტოჩინოშინის სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ ბაშოს დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე მან საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო ვარჯიშზე, მაგრამ ოსაკაში მტკივანი ფეხითაც ბრწყინვალედ იასპარეზა.

ხუთშაბათს, დიდი ჩემპიონი **კაკურიუს** დამარცხების შემდეგ, ტოჩინოშინმა პარასკევს მოულოდნელად, **შოდაისთან** დათმო. ამას მოჰყვა გამარჯვება **ჩიომარუსთან** და დიდებული ბრძოლა კომუსუბი **იჩინოჯოსთან**, რომელიც ასევე ქართველის გამარჯვებით დასრულდა. 10-5 ბალანსი სამომავლოდ ტოჩინოშინს ჩემპიონის (ოძეკი) რანგის მიღების შესაწინშვა პლაცდარმს აძლევს. ახლა კი ქართველი ნახევარი საფეხურით დაწინაურდება - დასავლეთის ნაცვლად აღმოსავლეთის სეკივაკე გახდება. ამ ბაშოზე მან 98 კენშო (ბრძოლის მოგებისთვის დანესებული ფულადი ჯილდო) მოიგო.

მონღოლმა კაკურიუმ ბოლო დღესაც დათმო ერთი ბრძოლა, მაგრამ 13-2 ბალანსით იმპერატორის თასი მოიგო, რაც მის კარიერაში მეოთხედ მოხდა.

სპეციალური პრიზები ტოჩინოშინის გარდა **ენდომ** (ტექნიკური რიკიში) და **კაისეიმ** (მებრძოლი სული) მიიღეს.

თეიმურაზ ჯულელმა (**გაგამარუ**) ძურიოს დივიზიონი დადებითი ბალანსით დაასრულა - 8-7. ის აღმოსავლეთის მე-5 ნომერია. ვნახოთ, ეყოფა თუ არა მინიმალური დადებითი ბალანსი ქართველს ელიტაში დასაბრუნებლად.

სუმოს ახალი რეიტინგი (ბანძუკე) 30 აპრილს გამოქვეყნდება. მაისის ბაშო კი ტოკიოს „კოკუგიკანში“ 13-27 მაისს გაიმართება.

საბოლოო მდგომარეობა

13-2: კაკურიუ (იოკოძუნა);
12-3: ტაკაიასუა (ოძეკი), კაისეი (მაეგაშირა 6);
11-4: იკიოი (მ 14);
10-5: **ტოჩინოშინი** (სეკივაკე), აბი (მ 7), იუტაკაიამა (მ 11), დაიამამი (მ 16).

ნიკოლოზ ნეფარიძე

რაგბი. დიდი ათი. XVI ტური

ექვსეული ცნობილია, ბაგრატი დაგვემშვიდობა

საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ორი ტურით ადრე საპლეიოფო ექვსეული გაირკვა - ქუთაისის „აია“, თბილისის „ლოკომოტივი“, გორის „ჯიქი“, „ბათუმი“, თბილისის „ლელო“ და რუსთავის „ხარები“. დადგინდა ხელმოცარულის ვინაობაც - უმაღლეს ლიგას ქუთაისის „ბაგრატი“ დატოვებს.

ქუთაისში „ბაგრატმა“ თანაქალაქელ „აიასთან“ მარცხის შემდეგ „საგზური“ პირველ ლიგაში „გაიფორმა“. ბაგრატელებს 10 ქულით უსწრებს „არმია“, რომელიც მას ურთიერთშეხვედრებშიც სჯობნის. „აიას“ რიგებში ისევ გამორჩეული იყო შუამარბი **ზურაბ ძნელაძე**, რომელმაც ორი ლელო მიითვალა. ამდენივე ლელო გაიტანა ახალგაზრდა გარემარბმა **თორნიკე მანაგაძემ**.

არმაზი–ლოკომოტივი 13:22

არმაზი: **ლ** - ფრუიძე. **ს, ა, გ** - ჯინჭველაშვილი
სინბინი: მამუჩარაშვილი
ლოკომოტივი: **4ლ** - შკინინი (2), გასვიანი, ცუცქირიძე. **გ** - წიკლაური.
მსაჯი: თორნიკე გვირჯიშვილი

თუ გავითვალისწინებთ, რომ რკინიგზელები მომდევნო ტურში შინ აუტსაიდერ „ბაგრატს“ მასპინძლობენ, უნდა ვივარაუდოთ, რომ მოწინავე დუეტში ადგილი დაბეებული აქვთ. რაც „ლოკომოტივს“ საშუალებას აძლევს პირდაპირ ნახევარფინალში, ანუ შესარჩევ ფინალში იასპარეზოს. „არმაზთან“ მატჩში გამორჩეული იყო ვეტერანი **გიორგი შკინინი**, რომელმაც ორი ლელო მიითვალა.

ბაგრატი–აია 5:45

ბაგრატი: **ლ** - ჩაუჩიძე.
აია: **7ლ** - ტორაძე, ძნელაძე (2), წივწივაძე, მანაგაძე (2), არეშიძე. **5გ** - ლოსაბერიძე.
მსაჯი: ილია საჯაია

ჯიქი–აკადემია 17:14

ჯიქი: **2ლ** - ბინაძე (2), **2გ, ს** - ნინიძე.
სინბინი: ორაგველიძე
აკადემია: **ლ** - სიჭინავა. **3ს** - მოძღვრიშვილი.
სინბინი: გ.ილურიძე
მსაჯი: საბა აბულაშვილი

„ჯიქი“ და „აკადემია“ ის გუნდებია, რომლებიც იოლად არაფერს თმობენ. თავად განსაჯეთ, „ჯიქს“ 11 საპრემიო ქულა აქვს, „აკადემიას“ კი - 12. თბილისურ გუნდს გამარჯვებამდე მუდამ რაღაც აკლდება. „აკადემიას“ მოგება ამჯერადაც შეეძლო, მაგრამ მატჩის ბედი გორელთა გარემარბ **ნიკა ბინწაძის** ორმა ლელომ გადაწყვიტა.

ხარები–არმია 42:21

ხარები: **6ლ** - თაბუკაშვილი, მაჭარაშვილი (2), აღაშვილი, წიკლაური, ნათელაშვილი. **6გ** - ხუციშვილი.
სინბინი: ხუციშვილი, ცუხიშვილი
არმია: **3ლ** - საჯარიმო, კამლაძე, ნახუცრიშვილი. **2გ** - მახარაშვილი.

აია-ბაგრატი, აია პირველია, ბაგრატი ბოლო

სინბინი: ჭავჭავაძე
მსაჯი: გია ამირხანაშვილი

„ხარებმა“ საკუთარ მოედანზე „არმია“ დაამარცხეს და პლეი ოფში ადგილი დაიბევეს. თუ გავითავალისწინებთ, რომ რუსთავული გუნდი უმაღლეს ლიგას წლეულს დაუბრუნდა, მიღწეული შედეგი უდავოდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს. მით უფრო, რომ „ხარებს“ შეუძლიათ პლეი ოფში კიდევ უფრო წინ წაიწიოს. თამაშში სულ ცხრა ლელო გავიდა. მასპინძელთა ექვსი ლელოდან ორი მესამეხაზელის, **ერეკლე მაჭარაშვილის** ანგარიშზეა.

ბათუმი–ლელო 32:29

ბათუმი: **4ლ** - ფუტკარაძე, ერისთავი, კორტავა, ტრაპაიძე. **4ს** - ურჯუკაშვილი (3), ხმალაძე
სინბინი: ბოთა, ურჯუკაშვილი
გაძევება: ბოთა
ლელო: **4ლ** - ხეცოიძე, კვირიკაშვილი, ბუბუტეიშვილი, ლორთქიფანიძე. **3გ, ს** - ყიასაშვილი
მსაჯი: სულხან ჩიხლაძე

ტურის ცენტრალური მატჩი ბათუმში გაიმართა, სადაც ადგილობრივმა გუნდმა თბილისის „ლელოს“ დაძაბულ ბრძოლაში სძლია. აღსანიშნავია, რომ მასპინძლები საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას და 69-ე წუთამდე 32:8 იგებდნენ. მას შემდეგ, რაც ბათუმელთა სამხრეთაფრიკელ გარემარბს, **ბერნარდო ბოთას** არბიტრმა მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა და მოედნიდან გააძევა უპირატესობა ხელთ ლელოელებმა იგდეს. ბოლო ათი წუთის განმავლობაში სტუმრებმა სამი ლელოს გატანა შეძლეს და ანგარიშში სხვაობა სამ ქულამდე შეამცირეს. ეს კი მხოლოდ საპრემიო ქულის ასაღებად იყო საკმარისი.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ(პ)
1. აია	**16**	**14**	**0**	**2**	**+208**	**61(5)**
2. ლოკომოტივი	**16**	**13**	**0**	**3**	**+118**	**60(8)**
3. ჯიქი	**16**	**10**	**1**	**5**	**+157**	**53(11)**
4. ბათუმი	**16**	**10**	**1**	**5**	**+125**	**50(8)**
5. ლელო	**16**	**10**	**0**	**6**	**+58**	**46(6)**
6. ხარები	**16**	**9**	**1**	**6**	**+12**	**43(5)**
7. არმაზი	16	5	1	10	-79	28(6)
8. აკადემია	16	3	0	13	-225	24(12)
9. არმია	16	3	0	13	-213	15(3)
10. ბაგრატი	16	1	0	15	-361	5(1)

XVII ტური

30 მარტი

აია-არმია

31 მარტი

აკადემია-არმაზი
ბათუმი-ხარები

1 აპრილი

ლოკომოტივი-ბაგრატი
ლელო-ჯიქი

ბესიკ ჯანგავაძე

რაგბი. ევროპის ჩემპიონატი, U-18

11 ლელო პოლანდიას, მომდევნო პორტუგალია

პოლონეთის ქალაქ პოზნანში მიმდინარე 18-წლამდელთა რაგბი ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა წარმატებული სტარტი აიღო. ჩვენი გუნდი მეტოქე ჰოლანდიის ნაკრები იყო, რომელიც „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა“ 69:12 დაამარცხეს.

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა მეტოქეს პირველი ლელო პირველივე წუთზე გაუტანა. „ქართულ ლელოებს“ სათავე მესამეხაზელმა **იოანე იაშაღაშვილმა** დაუდო. სულ კი „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა“ მეტოქეს 11 ლელო გაუტანეს. აქედან სამი მგეზავის **ნიკა ცინცაძის** ანგარიშზეა, ორი ლელო კი შუამარბმა **დემურ თაფლაძემ** მიითვალა.

საქართველო-ჰოლანდია

საქართველო–ჰოლანდია 69:12

საქართველო: 15. თეიმურაზ ჭიჭინაძე, 14. ოთარ ლაშხი, 13. დემურ თაფლაძე, 12. ლაშა ლომიძე, 11. ზურაბ ქავთარაძე, 10. ნიკა ცინცაძე, 9. გიორგი მარგალიტაძე; 1. დავით აბდუშელიშვილი, 2. ვანო კარკაძე, 3. ლუკა ჭელიძე, 4. ტარიელ გვიმრაძე, 5. ვლადიმერ ჩაჩანიძე, 6. ბექა ყორიაული, 7. იოანე იაშაღაშვილი, 8. გიგი ლემკაშელი.
სათ: 16. ირაკლი მჭედლიძე, 17. საბა კურატაშვილი, 18. ხვიჩა ცოფურაშვილი, 19. ლუკა მაჭარაშვილი, 20. ნიკოლოზ ღამბაშიძე, 21. მიხეილ ალანია, 22. გიორგი თევდორაძე, 23. ირაკლი სიმსივე
11ლ: იაშაღაშვილი, კარკაძე, მარგალიტაძე, ცინცაძე (3), ქავთარაძე, თაფლაძე (2), კურატაშვილი, ლაშხი. **7გ**: ლომიძე.

1/4 ფინალი

პორტუგალია-რუსეთი 37:32
საფრანგეთი-რუმინეთი 67:8
ესპანეთი-ბელგია 42:3

1/2 ფინალი, 28 მარტი

საქართველო-პორტუგალია
საფრანგეთი-ესპანეთი

ბესიკ ჯანგავაძე

რაგბი. ლეგიონერი

კაპიტანი უელსში გადაბარგდა

საქართველოს ნაკრების კაპიტანი **გიორგი ნემსაძე** „კელტურ ლიგაში“ მოასპარეზე უელსურ „ოსფრიზში“ გადავიდა. „ბორჯღალოსანთა“ მეორეხაზელი აქამდე ინგლისურ „ბრისტოლში“ ირიცხებოდა, თუმცა თამაში იშვიათად უწევდა. ნემსაძე „ოსფრიზში“ სეზონის ბოლომდე ითამაშებს. სწორედ ამის მერე გადაწყდება დარჩება თუ არა ის ამ გუნდში.

აი, რას ფიქრობს ნემსაძეზე „ოსფრიზის“ გენერალური მენეჯერი **დენ გრიფითსი**:

„გიორგი ნემსაძე გუნდში კონკურენციას გაზრდის და გამოცდილებას შემატებს. ის ფიზიკურად ძლიერი და აგრესიული სტილის მოთამაშეა, რაც ქართველი მორკინალისგან გასაკვირი არ არის. საქართველოს ნაკრების ბოლოდროინდელი წარმატებები სწორედ მორკინალებს უკავშირდება და გიორგი მისი საკვანძო ფიგურაა“.

კონკურენცია კი ნემსაძეს სერიოზული ელის. „ოსფრიზში“ მეორე და მესამე ხაზში უელსის ნაკრების მორაგბეები **ბრედლი დევისი**, **ალან ვინ ჯონსი**, **ჯასტინ ტიპურიკი** და **სემ გროსი** ირჯებიან. „ოსფრიზი“ კელტური ლიგის A ჯგუფში ასპარეზობს და ახლა 35 ქულით მე-5 ადგილზეა.

ბესიკ ჯანგავაძე

ლეგიონი

შენგელია: ჯერ 12, მერე 15, ჯერ ბარსა, მერე ფუენლაბრადა

ევროლიგის 28 ტურის შეხვედრაში **თორნიკე შენგელიას** „ბასკონია“ „ბარსელონას“ ეწვია და 86:73 დაამარცხა.

ქართველმა ფორვარდმა პარკეტზე 22 წუთი გაატარა და გუნდს 12 ქულით, 4 მოხსნით, 3 შედეგიანი გადაცემით დაეხმარა.

ევროლიგაში ჩატარებული 28 მატჩის შემდეგ „ბასკონია“ 15 მოგებითა და 13 მარცხით მე-8 ადგილზეა, „ბარსელონა“ კი 9 გამარჯვებითა და 19 წაგებით ბოლოსწინა, მე-15 ადგილს იკავებს.

■ ■ ■

ესპანეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში „ბასკონიამ“ **ნიკა ცქიტიშვილის** ყოფილ გუნდ „ფუენლაბრადას“ უმასპინძლა.

ბასკებმა თავიდანვე მოიპოვეს უპირატესობა და საბოლოოდ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს - 95:63.

თორნიკე შენგელიამ შედეგიანად ითამაშა. მას მწვრთნელმა 20 წუთი უბოძა, რა დროშიც ქართველმა 7-დან 5 ორქულიანი, 1-დან 1 სამიანი, 3-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, 15 ქულას, 5 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემა მიამატა.

ასევე 15 ქულა ჰქონდა ცენტრ **ვენსან პუარიეს**.

გიორგი შერმადინის (ტრავმა აქვს) გარეშე ითამაშა „უნიკახამ“, რომელმაც სევილიაში „ბეტისთან“ მინიმალური სხვაობით, 88:89 დათმო.

სუპერლიგა 2017-18

კაკტუსის ეფექტური სვლა მგზავრებმა შეწყვიტეს

24 მარტი, თბილისი

მარნეული-ქუთაისი	81:89

16:21, 26:14, 17:26, 22:28

მარნეული: ნილი (11ქ, 5პ), ვახანია (3ქ), ელიაძე (6ქ), რეი (12ქ, 8მ), ფაცაცია (12ქ, 7მ), ლობჟანიძე (21ქ), ანთაძე (8ქ), შველი (8ქ).

ქუთაისი: ლი (19ქ, 6პ), ბაბუნაშვილი (8ქ), ცირეკიძე (4ქ), გ. ბარბაქაძე (15ქ, 5მ), ლომოური (10ქ, 5მ, 3პ), დვალიშვილი (20ქ, 10მ), ბექაური (13ქ, 9მ).

ქვემოქართლურმა გუნდმა წინა ტურში „დინამო“ დაამარცხა... მარნეულელები ქუთაისელებსაც უგებდნენ, ერთხანს 10 ქულითაც, მაგრამ ლიდერობა ბოლომდე ვერ შეინარჩუნეს და ბრძოლაში დათმეს.

რის ხარჯზე მოახერხა „ქუთაისმა“ გამარჯვება? მოვუსმინოთ „მარნეულის“ თავკაც **თემურ კანკიას:**

- მოგეხსენებათ, მაღალი მოთამაშეები არ გვყავს, რის გამოც ჩვენი შანსები ძლიერი წინახაზელების მყოლ გუნდებთან მცირდება. პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ, დაცვითი ფუნქციები კარგად შევასრულეთ, თუმცა, მეორე ტაიმში მეტოქემ დაგვჯაბნა...

24 მარტი, თბილისი

მგზავრები-კაკტუსი	91:77

18:20, 25:20, 22:13, 26:24

მგზავრები: ბოუი (23ქ, 6მ, 9პ), ჯინჭარაძე (13ქ, 11მ, 4პ), ალხანაიძე (9ქ, 10მ), სტეფორდი (25ქ, 5მ), ლომინაშვილი (14ქ, 6მ), დ. ბარბაქაძე (3ქ), ქავთარაძე (1ქ), ფხაკაძე (3ქ, 3პ).

კაკტუსი: პარკსი (22ქ), გაგუა, ბოისა (5ქ, 5მ), ტურძელაძე (14ქ, 7მ, 3დ), ბრიჯმენი (10ქ), ჯონსონი (8ქ), ლომიძე (2ქ), მიჩელი (12ქ, 6მ), გოგალაძე (4ქ).

მიუხედავად იმისა, რომ ლიდერთა სამეულში არ არიან, ორივე გუნდი გასულ მატჩებში წარმატებით ასპარეზობდა. „მგზავრებმა“ წინა მატჩებში „ქუთაისი“ და „რუსთავი“ დაამარცხა, „კაკტუსმა“ კი „რუსთავს“, „სოხუმს“ და „ქუთაისს“ მოუგო. ამავდროულად, ცხრილში ამ გუნდებს შორის სოლიდური სხვაობა გახლდათ კაკტუსელთა სასარგებლოდ, რომლებიც „მგზავრებს“ მთელი 5 მოგებით უსწრებდნენ.

ამის მიუხედავად, შეხვედრა **ბუბა ბერიშვილის** გაწვრთნილი „მგზავრების“ დამაჯერებელი გამარჯვებით — 91:77 დასრულდა. „კაკტუსის“ მთავარი მწვრთნელის, **არჩილ ყულენტის** მატჩისშემდგომი კომენტარის თანახმად, მისი გუნდი ამ მატჩს ფსიქოლოგიურად მოუმზადებელი შეხვდა.

მოგეხსენებათ, კაკტუსელებმა 2 დღის წინ რუსთავში მოპოვებული გამარჯვების შედეგად თასის გათამაშების ფინალის საგზური მოიპოვეს და მათი მწვრთნელის თქმით, „მგზავრებთან“ სათამაშოდ მისი გუნდის წევრები თავდაჯერებულები გავიდნენ.

24 მარტი, თბილისი

ოლიმპი-რუსთავი	80:83

21:11, 15:28, 15:24, 19:20

ოლიმპი: გივი ბაქრაძე (15ქ, 5პ), როგავა (12ქ, 3პ, 4ჩ), გეგი ბაქრაძე (13ქ, 8მ), ბოქოლიშვილი (8ქ), ჭოჭუა (9ქ), დარბაიძე (6ქ, 5მ), ჰილი (17ქ, 19მ, 3პ).

რუსთავი: ხმელიძე, ბლეიზეკი (25ქ), ცეკვავა (10ქ, 10მ 6პ, 4ჩ), ჩაჩანიძე (10ქ), გუგავა (4ქ, 5მ), ნელსონი (19ქ, 11მ, 4პ), ბერნარდი (15ქ)

საინტერესო გამოდგა მატჩის დასკვნითი მონაკვეთი: ბოლო წუთზე „ოლიმპი“ მეტოქეს 2 ქულით მიუახლოვდა, დაცვაშიც იყოჩაღა და შეტევის უფლებაც მოიპოვა, მაგრამ... საფინალო სირენამდე 10 წამით ადრე ფარქვეშ შეჭრილმა ბაქრაძემ თანაგუნდელს არაზუსტი პასი მიაწოდა, რითაც ოლიმპელებმა მოგების შანსი ფაქტობრივად დაკარგეს.

მასპინძელთა ტაქტიკური ჯარიმის შემდეგ რუსთაველმა **გოგა ცეკვავამ** 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, რის შემდეგაც 3 ქულით ჩამორჩენილ „ოლიმპს“ თამაშის გადარჩენის შანსი მიეცა, მაგრამ **ბოქოლიშვილის** ცენტრიდან ნასროლმა სამქულიანმა რუსთაველთა კალათს ვერ მიაღწია.

რამაზ გოგობერიშვილი („რუსთავის“ მთავარი მწვრთნელი):

- ცუდი პერიოდი გვქონდა, ბევრი თამაში წავაგეთ. თუმცა, „ოლიმპთან“ ბიჭები მობილიზებულები იყვნენ. ძალიან ბევრი შეცდომა გვქონდა დაცვაში, რომელთა გამოსწორებასაც შევეცდებით.

25 მარტი, ბათუმი

ბათუმი-დინამო	80:83

15:19, 21:27, 26:18, 18:19

ბათუმი: ჩილდრესი (14ქ), ქადარია (5ქ), სტეფანიშინი (12ქ), ტომარაძე (10ქ), თენიეშვილი (7ქ), კოლინზი (10ქ, 5მ), მაისურაძე, შემოსიუკი (3ქ), ანდრეევიჩი (13ქ, 8მ, 3პ), მიქელაძე (6ქ, 5მ).

დინამო: ლი (12ქ, 5მ, 3პ), შარაბიძე (5ქ), ბოიდი (12ქ, 7მ, 4პ), გრძელიძე (7ქ, 4პ), ლონდარიძე (18ქ, 6მ), მაჩალაძე, ტურპინი (5ქ, 7მ), გოგოძე (14ქ).მიტროვიჩი (10ქ, 4პ).

„დინამო“ პლეი ოფის მოახლოებასთან ერთად თამაშს კვლავ აუმჯობესებს. შეგახსენებთ, რომ ჩემპიონებმა სეზონი ეფექტურად დაიწყეს, თამაშს თამაშზე იგებდნენ, მაგრამ ზამთრის დადგომასთან ერთად და გუნდში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებთან ერთად სიტუაცია გაუარესდა და დინამოელებს წაგებები შემოერიათ.

შუა სეზონი არც „ბათუმისთვის“ იყო მშვიდი. კარგად დაწყების შემდეგ მათი შედეგებიც გაუარესდა, თუმცა ზღვისპირელებს უბრუნდებიან ტრავმირებულები და რამდენიმე კარგი გამარჯვებაც მოიპოვეს.

ერთ-ერთი ასეთი „კაი“ მოგება იქნებოდა ჩემპიონთან გამარჯვება, მაგრამ, როგორც სჩვევია, ირაკლი ხოშტარიას გუნდმა ბოლო წუთები მშვიდად ჩაატარა და რეგულარულ ეტაპზე მე-16 მოგება მოიპოვა.

გუნდი	თ	მ	წ	სხ	ქ
1. ქუთაისი	24	18	6	2042/1832	42
2. დინამო	24	16	8	1980/1800	40
3. რუსთავი	24	16	8	1950/1845	40
4. კაკტუსი	24	14	10	1960/1933	38
5. ოლიმპი	24	13	11	1884/1820	37
6. ბათუმი	24	12	12	1833/1755	36
7. მგზავრები	24	10	14	1873/2001	34
8. მარნეული	24	8	16	1924/2056	32
9. სოხუმი	24	1	23	1801/2205	25

ლეგიონი

მარკოიშვილი და რეჯო ევროთასს დაემშვიდობნენ

ევროთასის განმეორებით შეხვედრაში **მანუჩარ მარკოიშვილის** „რევჯიო ემილიამ“ ყუბანის „ლოკომოტივს“ უმასპინძლა და 69:79 დამარცხდა.

ქართველმა ლეგიონერმა პარკეტზე 26 წუთი გაატარა. მანუმ გუნდს 10 ქულა, 2 მოხსნა, 3 ჩაჭრა და 2 შედეგიანი გადაცემა მოუტანა.

სერია ორ გამარჯვებამდე იყო, რუსებმა კი პირველი შეხვედრაც მოიგეს, შესაბამისად, მარკოიშვილი და „რევჯო“ ევროთასს დაემშვიდობნენ.

„ლოკომოტივი“ ფინალში მარკოიშვილის ყოფილ გუნდს, „დარუშაფაქას“ დაუპირისპირდება.

მაიკლ დიქსონის ექვსიანები

თურქეთის ჩემპიონატის მეორე ლიგაში საქართველოს ნაკრების გამთამაშებლის, **მაიკლ დიქსონის** „ბაჰჩეშეჰირი“ პირველადგილოსან „ტურკ ტელეკომს“ ესტუმრა.

შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, გამარჯვება კი მასპინძლებს დარჩათ - 87:82.

მაიკლმა მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო, 24 წუთში 6 ქულა, 6 პასი და 1 მოხსნა გაიფორმა. ჩვენს ამერიკელს პერიმეტრიდან ტყორცნები არ წაუვიდა - 4 სროლიდან მიზანში ვერც ერთი ვერ მოარტყა.

„ბაჰჩეშეჰირს“ 17 მოგება, 12 წაგება აქვს და მეორე ლიგის სატურნირო ცხრილში მეექვსე ადგილზეა.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

ჭიდაობა. ბულგარეთის ტურნირი

გენოს მორიგი ტრიუმფი

სოფიაში დასრულებულ „დან კოლოვისა და ნიკოლა პეტროვის მემორიალში“ საქართველოს გაერთიანებულმა გუნდმა 9 მედალი მოიპოვა: 1 ოქრო, 3 ვერცხლი და 5 ბრინჯაო. აქედან თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მონაგარი 5 მედალია - თითო ოქრო-ვერცხლი და 3 ბრინჯაო. ჩემპიონი მძიმეწონოსანი **გენო პეტრიაშვილი** გახდა, **ირაკლი მწითურმა** (92) კი ფინალური პაექრობა დათმო რუსთა ოლიმპიურ, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ **აბდულრაშიდ სადულაევთან**. მესამეზე **ოთარ გოგავა** (61), **ჯაბა ყველაშვილი** და **ნიკა კენჭაძე** (ორივე - 79) გავიდნენ.

ბერძენ-რომაელთა მონაგარი 4 ჯილდოა - 2-2 ვერცხლ- ბრინჯაო. ფინალში **თორნიკე ძამაშვილი** (82) და **ზვიად პატარიძე** (130) დამარცხდნენ, თუმცა ძამაშვილმა თუ რეალურ ორთაბრძოლაში წააგო პოლონელ **ედგარ ბაბაიანთან**, პატარიძე ფინალში ტრავმის გამო არ გასულა საჭიდაოდ თურქთა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ **რიზა კაიაალპთან**. ბრინჯაოს მედლები **რამაზ ზოიძემ** (72) და **გიორგი მელიამ** (97) მოიპოვეს.

ეს ტურნირი ჩვენი ნაკრებისთვის ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი ერთ-ერთი ბოლო სასტარტო-საკონტროლო შეხვედრა იყო, თავად კონტინგენტის პირველობა კი აპრილის ბოლოს დაღესტნურ კასპიისკში იმართება. ამდენად, სოფიას „ასიკს არენაში“ ჩვენთვის მნიშვნელოვანი ამბები მოხდა, ზოგიერთ წონაში კი მოვლენები ძალიან საყურადღებოდ განვითარდა.

თავისუფალ ჭიდაობაში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონმა, ოლიმპიურმა პრიზიორმა პეტრიაშვილმა ეს სტარტი ჩვეულად, ერთი ამოსუნთქვით ჩაატარა და მეტოქეებს კვლავაც გრიგალივით გადაუქროლა - თავდაპირველად ბულგარელი **დანიელ ვასელინოვი** პირველივე პერიოდში „დააშამათა“ - 10:0 და წმინდა მოგება, ნახევარფინალში კი იმავე ანგარიშით ასევე იოლად დაამარცა ბერძენი **იოანის კარგაკიოტაკისი**. ამ ორ შეხვედრაში დაახლოებით ერთნაირი ტაქტიკით იმარჯვა - ფეხში შესვლა-აყვანით მეტოქეები იოლად გადაჰყავდა ჩოქბჯენში, იქ კი კარგად ატრიალებდა. ოღონდ ბულგარელი დაახლოებით მისივე წონისა იყო და მასთან ეს ყველაფერი ერთ კომბინაციაში გააკეთა ანუ ჩაყვანის შემდეგ ჩოქბჯენში ზედიზედ ატრიალა წმინდა მოგებამდე, ბევრად ჩასქელებულ ბერძენთან კი ასე კომბინაციურად ვერ იმუშავა. თუმცა ფეხიდან გადაგდების შემდეგ ჩოქბჯენში დატრიალება რამდენჯერმე მაინც შეძლო და შესვენებაზე დიდი ფორით გავიდა - 6:0, ორი ქულა კი მეორე პერიოდში აართვა ისევ დაბლა ჩაყვანით.

ფინალში ჩვენებურის მეტოქე რუსთა ჩეჩენი **მურადინ კუშხოვი** გახლდათ და მხოლოდ მასთან იმარჯვა ქულებით - 5:0, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ გაუჭირდა ან ჩეჩენი მისი სადარი მეტოქე იყო. სულაც არა - ალბათ, პეტრიაშვილმა შესაძლებლობების ნახევარიც არ გამოავლინა, იმდენად იოლად მოიგო, ხოლო კუშხოვი მარცხს შეგუებული ჩანდა. პეტრიაშვილმა ამ ხუთიდან სამი ქულა წრიდან გაყვანით მოიპოვა. თავიდან ეს პირველივე წუთებზე გააკეთა, როცა რუსმა მაღალქულიან გდებას თვითშეწირვის მეთოდი არჩია და აშკარად გაექცა გარეთ. მომდევნო ორ ეპიზოდში ჩვენებური ფეხში შევიდა. კუშხოვი თითქოს კი ჩაუწვა ილეთის დასაბლოკად, მაგრამ გენომ ორჯერვე იოლად ასწია და გაიყვანა იმის მიუხედავად, რომ რუსთა ოსი თავკაცი ჯამბულათ თედეევი ჩეჩენს აქტიურად მოუწოდებდა ზონაში დარჩენისკენ. გენომ ის ოქრულიანი გდებაც ფეხში შესვლიდან გააკეთა - ილეთი ასე კი წამოიწყო, მაგრამ მერე წელზე გადავიდა და გადააგდო.

გენო პეტრიაშვილი კვარცხლბეკზე

სამწუხაროდ, ფინალში ტრავმის გამო ვერ იჭიდავა ჩვენმა მეორე მძიმეწონოსანმა პატარიძემ და რეალურად არ მოგვეცა მისი შედარების საშუალება წონის ისეთ გიგანტთან, როგორიც რიზაა. „თავისუფალთაგან“ უთუოდ აღსანიშნავია მწითურის წარმატება, ვინც საქართველოს ჩემპიონიცაა და ურიგოდ არც წინა ტურნირზე გამოსულა კიევში. ის ახლაც უძლიერეს მეტოქესთან დამარცხდა, თუმცა ამჯერად ისეთი ალიყური ვერ აჭამა, რაც 23-წლამდელთა ევროპირველობის ფინალში გაუკეთა, როცა ჩინებულ 4-ქულიანზე გადმოიღო.

ამ ნაკრებში ძალიან საინტერესოდ განვითარდა მოვლენები 79 კილოგრამში, სადაც ბრინჯაოსთვის ქართული პაექრობა გაიმართა, რომელიც საქართველოს ჩემპიონატის ფინალის განმეორება იყო - ერთმანეთს ევროპის პრიზიორები, **იაკობ მაქარაშვილი** და ჯუმბერ ყველაშვილი შეხვდნენ. ამჯერად ყველაშვილმა გაიმარჯვა, რითაც რევანშიც აუღო მაქარაშვილს, ბრინჯაოც მოიპოვა და მწვრთნელებსაც, ვფიქრობ, საფიქრალი გაუჩინა. ამ წონაში მეორე ბრინჯაოს კენჭაძე დაეუფლა, თუმცა ის ქვედა წონის ფალავანია, ოღონდ ეს მედალი მაინც ძალზე საყურადღებოა. სამწუხაროდ, მან შეხვედრის მიწურულს ხელი იტკინა, აქ კი აღსანიშნავია მისი მეტოქის, თურქი **მუჰამედ ნურის** საქციელი, რამაც დარბაზის სრულიად დამსახურებული აპლოდისმენტები გამოიწვია - აღარ ეჭიდავა კენჭაძეს. ასევე აღსანიშნავია გოგავას გამოსვლა - ისიც ზედა წონაში ასპარეზობდა და თან ბრინჯაოსთვის პაექრობაში ძლიერი რუმინელი **ივან გუიდია** დაამარცხა.

ბერძენ-რომაელთაგან ძამაშვილმა ამჯერადაც გამოიჩინა თავი, თუმცა, ვფიქრობთ, ბაბაიანთან მაინც გამოუცდელობამ დააღალატა. ზოიძემ გადამწყვეტ პაექრობაში ჩინებული 4-ქულიანი კისრულის დიდი დამსახურებით დაამარცხა იაპონელი **ტომოჰირო ინოე**. მელია ამ წონაში ერთ-ერთ ლიდერად ყალიბდება, რაც სოფიაშიც დაადასტურა. თუნდაც ბრინჯაოსთვის შეხვედრაში, რომელიც პირველივე პერიოდში წმინდად მოიგო.

ირაკლი თავაძე

ჭადრაკი. ევროპის ჩემპიონატი

მედლის შანსი მხოლოდ მჭედლიშვილს შერჩა

ერთდღიანი შესვენების შემდეგ ბათუმში განახლდა მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის ინდივიდუალური ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს 32 წარმომადგენელი მონაწილეობს. მათგან მხოლოდ **მიხეილ მჭედლიშვილს** შერჩა მედალოსანთა შორის მოხვედრის შანსი. საქართველოს წლევანდელმა ჩემპიონმა მე-7 ტურში თეთრი ფიგურებით სახელოვან უკრაინელ დიდოსტატ **ვასილი ივანჩუკს** აჯობა, გუშინ კი შავებით **ერნესტო ინარკიევს** (რუსეთი) დაუზავდა და 5.5 ქულას მოუყარა თავი. მას ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან **თორნიკე სანიკიძე** და **დავით არუთინიანი**: სანიკიძემ ბოლო ორ ტურში ზედიზედ **დავიდ კალაშიანსა** (სომხეთი) და **დანიელ ვოკატუროს** (იტალია), ხოლო არუთინიანი ჯერ **მადს ანდერსენს** (დანია), შემდეგ კი **ნიჯათ აბასოვს** (აზერბაიჯანი) დაუზავდა.

მიხეილ მჭედლიშვილი

სამწუხაროდ 2-2 ორთაბრძოლა წააგეს ჩვენი ქვეყნის ვაჟთა ნაკრების ლიდერმა **ბაადურ ჯობავამ** და **ლევან ფანცულაიამ**. ჯობავამ მეშვიდე ტურში **ანტე ბრკიჩთან** (ხორვატია), გუშინ კი **ანდრეას კელირესთან** (საბერძნეთი) დათმო პარტიები, ფანცულაიას კი **რაუფ მამედოვმა** (აზერბაიჯანი) და **სერგეი ლობანოვმა** (რუსეთი) გააჩერებინეს საათი.

რვა ტურის შემდეგ 6.5-6,5 ქულით **ტამირ ნაბათი** (ისრაელი), **გავაინ ჯონსი** (ინგლისი), **რადოსლავ ვოიტაშეკი** (პოლონეთი) და **ლიუკ მაკშეინი** (ინგლისი) დაწინაურდნენ. ექვსმა მოჭადრაკემ 6-6 ქულას მოუყარა თავი.

დღეს მე-9 ტურში ლიდერები ასე დაწყვილდნენ: გავაინ ჯონსი (ინგლისი)-რადოსლავ ვოიტაშეკი (პოლონეთი), მაქსიმ მატლაკოვი (რუსეთი)-ტამირ ნაბათი (ისრაელი), ანტონ კორობოვი (უკარინა)-ლიუკ მაკშეინი (ინგლისი), დავიდ ნავარა (ჩეხეთი)-დანიილ დუბოვი (რუსეთი), სანან სიუგიროვი (რუსეთი)-რაუფ მამედოვი (აზერბაიჯანი)... მიხეილ მჭედლიშვილი-დავიდ ანტონი (ესპანეთი), თორნიკე სანიკიძე-მადს ანდერსენი (დანია), ფალკო ბინდრიჩი (გერმანია)-დავით არუთინიანი.

ვაჟა დანელია

ხელბურთი

დამარცხდა, მაგრამ ლიდერობა შეინარჩუნა

ზესტაფონში დამთავრდა საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის დასავლეთის ზონის III წრის სამი ტური. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ჩემპიონატის ლიდერის - ბათუმის „შავი ზღვის ბიჭებისა“ და „ქუთაისის“ შეხვედრა. ამ გუნდების პირველი წრის პაექრობა დასრულდა ფრედ - 25:25. მეორე წრის ორთაბრძოლა ზღვისპირელებმა 29:27 მოიგეს.

მატჩის დასაწყისში ბათუმელები 3 ბურთით დაწინაურდნენ, მაგრამ ტაიმი „ქუთაისმა“ მოიგო - 17:13. საფინალო სასტვენამდე 5 წუთით ადრე ანგარიში სულაც თანაბარი იყო - 24:24. დარჩენილ დროში განსაკუთრებით ქუთაისელთა მეკარე **კორნელი ანდრიაძე** გამოირჩა, რომელმაც ორჯერ იხსნა საკუთარი კარი გოლისაგან. საბოლოოდ ქუთაისმა გაიმარჯვა. ზღვისპირელთა ამ წაგებით პოტენციური ლიდერი გახდა შარშანდელი ჩემპიონი თელავის „იმედი“, რომელიც აღმოსავლეთის ოთხეულში სამივე მატჩის მოგების შემთხვევაში, პირველ ადგილზე გადავა. სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვა „სამტრედიამ“, რომელმაც წყალტუბოს „პრომეთეს“ სძლია.

ტურნირზე

წყალტუბო – სამტრედია 29:30

წყალტუბო: სილაგაძე, ხაჭაპურიძე, ხელაძე- 15, ჯიმშელეიშვილი- 6, შვანგირაძე- 3, მეტონიძე- 2, მ. გველესიანი- 1, გელა გველესიანი- 1, კახაია- 1, დარსაველიძე, ნიჟარაძე.

სამტრედია: შველიძე, ძნელაძე- 10, გაგუა- 10, ხელისუფალი- 4, ადამია- 3, თევზაძე- 2, ხონელიძე- 1, მანგაძე, ნადირაძე.

ქუთაისი – ბათუმი 26:25

ქუთაისი: ანდრიაძე, მაისურაძე, რუსტამოვი- 7, გამზარდია- 4, კბილაშვილი- 4, გოგალაძე- 4, სიმონია- 4, ფერაძე- 3, მერკვილაძე, გრიშიკაშვილი, ჭელიძე, კობახიძე, მათნაძე.

ბათუმი: ტორონჯაძე, ცერცვაძე, გოგოლაძე- 6, აბრამიშვილი- 5, ბულბულაშვილი- 4, თევზაძე- 4, ხაჟომია- 3, სტურუა- 2, ბერძენიშვილი- 1, სურმავა, წიფწივაძე, ყაველაშვილი, ქარდავა.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
ბათუმი	17	14	2	1	631-474	30
ქუთაისი	17	13	1	3	623-488	27
იმედი	14	12	1	1	471-385	25
ჰეგასი	14	8	0	6	522-481	16
გორი	14	6	0	8	475-524	12
სტუ	14	4	0	10	427-440	8
წყალტუბო	17	2	0	15	487-644	4
სამტრედია	17	1	0	16	443-643	2

ვაჟა დანელია

წყალბურთი

ჯერ ოთხეული, მერე ფინალი

საწყლოსნო კომპლექსს „ოლიმპიკის“ აუზში 2002-2003 წლებში დაბადებულ წყალბურთელ ვაჟთა საქართველოს პირველობის მეორე ეტაპის მორიგი ტურის შეხვედრები გაიმართა. ამ ასაკში ცხრა გუნდი ჩაება მედლების ბრძოლაში. პირველი ეტაპის შემდეგ გამოვლინდა საუკეთესო ექვსეული („ივერია“, „აკადემია“, „არენა“, „საჩხერე“, „აჭარა“, „სპორტმენეჯმენტი“), რომელიც ფინალურ ოთხეულს გამოავლენს, ხოლო „ტონუსი“, „ქუთაისი“ და „დიღომი“ მეშვიდე-მეცხრე ადგილებს შეცილებიან ერთმანეთს.

II-III ტურები: „ტონუსი“ - “დიღომი“ 19:8, „ივერია“-სპორტმენეჯმენტი“ 19:5, „აკადემია“-“აჭარა“ 16:2, „არენა“-“საჩხერე“ 16:0; „არენა“-“აკადემია“ 11:8, „აჭარა“-“ივერია“ 2:15, „სპორტმენეჯმენტი“-“საჩხერე“ 8:14.

ეს გუნდები აპრილში კიდევ ორი ტურის მატჩებს გამართავენ და ნახევარფინალისტებიც გამოვლინდებიან.

ვაჟა დანელია

ჩოგბურთი

ნახევარფინალში მეჭოქეებს ელიან

სოფიო შაფათავა და **ეკატერინე გორგოძე** იტალიურ სანტა მარგარეტა დი პულას (25 000 დოლარი) საერთაშორისო ტურნირში ჩაებნენ. ერთეულებში გორგოძე საკვალიფიკაციო ეტაპზევე დამარცხდა, ხოლო შაფათავა ძირითადი ბადის მერვედფინალს ვერ გასცდა - ჩვენებურს იტალიელმა **მარტინა კარეგარომ** აჯობა - 2:6, 7:6, 6:0. წყვილებში შაფათავა **ვასილიევასთან** ერთად მეორე ნომრად იყო განთესილი და მეოთხედფინალში ეკატერინე გორგოძისა და **პემრა ოზთურქის** დუეტს მოუგო - 2:6, 7:5, 10:3. ნახევარფინალში შაფათავა და მისი მეწყვილე მეტოქეს ელოდებიან.

შარმ ელ შეიხში (ეგვიპტე) **მარიამ ბოლქვაძე** მეოთხედფინალში დაემშვიდობა ტურნირს - ჩეხ **ბარბორა სტეფკოვასთან** წააგო - 2:6, 5:7.

ვაჟა დანელია

ჩოგბურთი

ბასილაშვილი მაიამის დაეშშვიდობა

მსოფლიოს 89-ე ჩოგანმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა ვერ შეძლო მაიამის „მასტერსზე“ მეორე წრის ბარიერის გავლა. ქართველი ჩოგბურთელი მსოფლიოს მე-8 ნომერს, სამხრეთაფრიკელ კევინ ანდერსონს ხვდებოდა, რომელმაც წინა კვირას, ინდიან უელსის „მასტერსზე“ მეოთხედფინალამდე მიაღწია.

პირველ სეტში ანდერსონი საკუთარ მოწოდებაზე შანსს არ აძლევდა ბასილაშვილს - ქართველმა მეტოქის გეიმებში მხოლოდ ოთხი ქულა აიღო. თავად, ნიკას გეიმებში კი თითქმის მუდმივად ბრძოლა იყო, თუმცა, ანდერსონი კარგა ხანი ვერ ახერხებდა ბრეიკის შესრულებას. ეს მან მხოლოდ მეათე გეიმში, 5:4-ზე შეძლო, როცა რიგით მეექვსე ბრეიკ-პოინტის გამოყენება მოახერხა.

მეორე სეტი ანდერსონმა კიდევ უფრო კარგად დაიწყო - ორი საკუთარი გეიმი „მშრალი“ ანგარიშით აიღო, ბრეიკიც გააკეთა და 3:0 დაწინაურდა. მაგრამ ბასილაშვილმა შეძლო გაბრძოლება - მეხუთე გეიმში მატჩში პირველი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა და შეძლო მისი გამოყენება, თუმცა, იქვე ისევ წააგო საკუთარი მოწოდება და მეტოქეს უპირატესობა დაუბრუნა. მეცხრე გეიმში, როცა აფრიკელი მატჩზე ანვდიდა, ქართველმა სცადა თამაშის გადარჩენა, სამი ბრეიკ-პოინტიც მოიპოვა, თუმცა, ეს შანსები ვერ გამოიყენა.

საათსა და 29 წუთში ანდერსონმა 6:4, 6:3 მოიგო.

ფედერერმა წააგო, ნადალი ისევ პირველი იქნება

როჯერმა გრუნტის სეზონის გამოტოვებაზე გამოაცხადა

მაიამის „მასტერსის“ მეორე წრეში უდიდესი სენსაცია მოხდა - მსოფლიოს 178-ე ჩოგანმა, ავსტრალიელმა **ტანასი კოკინაკისმა** რეიტინგის ლიდერი და ტურნირის მოქმედი ჩემპიონი, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** დაამარცხა - 3:6, 6:3, 7:6(4).

პირველი ორი სეტი ჩოგბურთელებმა თითო ბრეიკის წყალობით მოიგეს. მესამე სეტში ბრეიკი არ ყოფილა (ფედერერმა ორი ბრეიკ-პოინტის შანსი ვერ გამოიყენა), რის შემდეგაც. ყველაფერი ტაი-ბრეიკზე გადაწყდა - კოკინაკისმა მერვე გათამაშებაში შესრულებული მინი-ბრეიკის წყალობით მოახერხა მოგება.

ფედერერს ამ მატჩში 31 უნებლიე შეცდომა ჰქონდა, ავსტრალიელი კი ყველაზე დაბალრეიტინგიანი ჩოგბურთელი გახდა ბოლო 15 წლის განმავლობაში, ვინც პირველი ჩოგანი დაამარცხა.

სხვათა შორის, ამ მატჩის შემდეგ, ფედერერი აღარ იქნება რეიტინგის ლიდერი - მომავალი ორშაბათიდან პირველობას ისევ **რაფაელ ნადალი** მოიპოვებს, რომელიც ტრავმის გამო ტოვებდა ამერიკულ „მასტერსებს“.

კოკინაკისთან წაგების შემდეგ, ფედერერმა გამოაცხადა, რომ შარშანდლის მსგავსად, ისევ გამოტოვებს გრუნტის სეზონს, თუმცა მაინც შეეძლება რეიტინგის სათავეში დაბრუნება, რადგან ნადალს გრუნტის ტურნირებზე 4680 ქულა აქვს დასაცავი, ფედერერს - 0.

ჯოკოვიჩი ისევ აგებს

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, „დიდი სლემის“ ტურნირების 11-გზის ჩემპიონი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** ვერ ახერხებს საბრძოლო ფორმის აღდგენას. ინდიან უელსის „მასტერსზე“ პირველი წრის წაგების შემდეგ, სერბმა იგივე შედეგი გაიმეორა მაიამის „მასტერსზე“.

ჯოკოვიჩის დამარცხება ძალიან იოლად შეძლო მსოფლიოს 47-ე ჩოგანმა, ფრანგმა **ბენუა პერმა**. მან მატჩში რვა ბრეიკ-პოინტი გამოიმუშავა და ოთხი ასეთი შანსი გამოიყენა, ნოვაკს კი ერთადერთი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, რომელიც მომგებიან ქულაში გარდასახა, მაგრამ მაშინ, როცა მეორე სეტში 2:4 იყო ჩამორჩენილი.

საბოლოოდ, პერმა საათსა და 9 წუთში 6:3, 6:4 მოიგო და მესამე წრეში ითამაშებს. ჯოკოვიჩი კი ემშვიდობება მაიამის, რადგან მან წყვილებშიც მოასწრო პირველი წრის მატჩის წაგება - მისი და **ვიქტორ ტროიცკის** დუეტი სამ სეტში დამარცხა **მეტკიჩთან** და **პეიასთან**.

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

კარიმ რეგულარული დაამთავრა

ექვსმატჩიანი შესვენების შემდეგ, მოედანს დაუბრუნდა „გოლდენ სტეიტის“ ლიდერი **სტეფ კარი**. „ატლანტასთან“ მატჩის სამ მეოთხედში მან 29 ქულა ჩააგდო და თანაგუნდელებს გამარჯვებისკენ გაუძღვა. მისი დაწყებული საქმე „მეომრებმა“ კარგად განაგრძეს და 106:94 მოიგეს.

კარი მესამე მეოთხედის შემდეგ აღარ გამოჩენილა მოედანზე, რადგან ერთ ეპიზოდში **ჯავალ მაკგი** დაახტა, ფეხი ატკინა და სტეფი დაუყოვნებლივ გაემართა გასახდელისკენ. მოგვიანებით გაირკვა, რომ „უორიორზის“ ლიდერი პლეი ოფამდე ვეღარ დაბრუნდება მოედანზე.

რაც შეეხება **ზაზა ფაჩულიას**, მან მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო, 15 წუთი ითამაშა, 2 ქულა, 9 მოხსნა და 1 ჩაჭრა მიითვალა.

ფილადელფია-მინესოტა 120:108

32:24, 27:28, 39:19, 22:37

ფ: ემბიდი (19+6 მოხსნა+3 დაფარება), შარიჩი (18), ბელინელი (17), სიმონსი (15+12 მოხსნა+13 პასი), კოვინგტონი (11+6 მოხსნა).

მ: უიგინსი (16+8 მოხსნა), თაუნსი (15+11 მოხსნა), ჯენინგი (15+11 მოხსნა), კროუფორდი (13), ჯონსი (11+6 პასი), ჯორჯ-ჰანტი (11).

დეტროიტი-ჩიკაგო 117:95

36:22, 30:25, 29:29, 22:19

დ: ტოლივერი (25+6 მოხსნა), ჯექსონი (15), დრამონდი (15+20 მოხსნა+4 დაფარება), ბულოკი (14), კუნარი (13+6 პასი), ენისი (13), სმიტი (12+7 პასი), გრიფინი (10+9 პასი).

ჩ: ვალენტაინი (18), ვონლე (12+6 მოხსნა), ნვაბა (13+7 მოხსნა), პეინი (10), პორტისი (10), გრანტი (10+10 პასი), ფელსიო (10+9 მოხსნა).

ორლანდო-ფინიქსი 105:99

26:23, 12:23, 39:28, 28:25

ო: გორდონი (29+11 მოხსნა+8 პასი), ვუჩევიჩი (24+11 მოხსნა), ოგასტინი (15+9 მოხსნა+10 პასი), ჰეზონია (14+8 მოხსნა), მაკი (12).

ფ: ჯექსონი (18), ლენი (15+9 მოხსნა), იულისი (14), პეიტონი (14+8 პასი), დენიელსი (12), კრისი (10).

ჰიუსტონი-ნ. ორლეანი 114:91

29:16, 35:21, 19:24, 31:30

ჰ: ჰარდენი (27+6 მოხსნა+8 პასი), გორდონი (19), კაპელა (18+16 მოხსნა+6 მოხსნა), ანდერსონი (16), გრინი (14).

ნ-ო: დევისი (25+8 მოხსნა+4 დაფარება), დიალო (15+9 მოხსნა), მილერი (11), ჰოლიდეი (10).

მემფისი-ლეიკერსი 93:100

28:17, 29:35, 14:19, 22:29

მ: ჰარისონი (20+9 პასი), მ. გასოლი (18), გრინი (17+16 მოხსნა), მარტინი (10+10 მოხსნა+4 დაფარება), ბრუქსი (10).

ლ: კუზმა (25+10 მოხსნა), რენდლი (20+11 მოხსნა), კოლდუელ-პოუპი (18), ბოლი (12+8 მოხსნა+10 პასი), უეირი (11).

დალასი-შარლოტი 98:102

27:22, 21:32, 22:25, 28:23

დ: სმიტი (21+6 პასი), ბარნსი (18+7 მოხსნა), ფერელი (16), მაკდერმოტი (14), ნოელი (10+12 მოხსნა), ბარეა (10), ნოვიცკი (4+10 მოხსნა).

შ: უოკერი (24), ჰოვარდი (18+23 მოხსნა), ლემბი (14), მონკი (11).

ჭადრაკი

პრეტენდენტთა ტურნირს ორი ლიდერი ჰყავს

გერმანიის დედაქალაქ ბერლინში გრძელდება ჭადრაკში პრეტენდენტთა ტურნირი, რომლის გამარჯვებული მიიღებს უფლებას - საჩემპიონო მატჩში დაუპირისპირდეს ტიტულის მფლობელს, ნორვეგიელ **მაგნუს კარლსენს**.

გაიმართა მე-12 ტური, რომლის შემდეგაც, ტურნირს ორი ლიდერი ჰყავს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც რუსმა სერგეი კარიაკინმა ამერიკელი ფაბიანო კარუანა დაამარცხა. ახლა, ეს მოჭადარაკეები პირველ ადგილს იყოფენ.

მე-12 ტურის პარტიები ასე დასრულდა:

სერგეი კარიაკინი (რუსეთი) - ფაბიანო კარუანა (აშშ) - 1:0

ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) - ლევონ არონიანი (სომხეთი) - 0,5:0,5

შახრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) - დინ ლიჟენი (ჩინეთი) - 0:1

ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) - უესლი სო (აშშ) - 0,5:0,5

მდგომარეობა 12 ტურის შემდეგ:

1-2. კარუანა, კარიაკინი - 7 ქულა; 3-5. დინ ლიჟენი, გრიშჩუკი, მამედიაროვი - 6.5 ქულა; 6. კრამნიკი - 5.5 ქულა; 7. სო - 5 ქულა; 8. არონიანი - 4 ქულა.

კვირას, ტურნირზე დასვენების დღე იყო. ბოლო ორი ტურის პარტიები 26 და 27 მარტს გაიმართება.

დოპინგი

ნიღბიანი როდჩენკოვი და სენატორები

მოსკოვის ანტისადოპინგო სააგენტოს ყოფილი დირექტორი, მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს (WADA) ინფორმატორი **გრიგორი როდჩენკოვი** ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წევრებსა და პოლიტიკოსებს შეხვდა. სენატორების წინაშე რუსული დოპინგსკანდალის ინიციატორი ნიღბით წარსდგა, - იტყობინება Inside the Games.

შეხვედრაზე განიხილებოდა დოპინგთან ბრძოლის საკითხები და კორუფცია საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებში. გარდა ამისა, როდჩენკოვი სენატორებთან განიხილავდა „საფრთხეს, რომელსაც რუსეთი ამერიკის შეერთებული შტატებისთვის წარმოადგენს“.

„როდჩენკოვის ისტორია - ერთ-ერთი მაგალითია იმისა, როგორ სძულს კრემლს საერთაშორისო წესები, - განაცხადა სენატორმა **ბენ კარდინმა**. - *სამწუხაროა, რომ მას ნიღბის ტარება უწევს. ის თავისი სიცოცხლის გამო შიშობს და მისი შიში ეფუძნება სერგეი სკრიპალის ამასწინანდელ მოწამვლას. მოხიბლული ვარ როდჩენკოვის სიმამაცით. ის დაეხმარა დოპინგთან ბრძოლას და მე სიამოვნებით შევხვდი მას. ინფორმატორები მნიშვნელოვანი არიან საზოგადოებაში, სადაც სამართალი პირველ ადგილზე დგას“.*

ჰოკეი. NHL. რეგულარული

კოლორადო-ვეგასი 2:1 (ბ)

1:0, 0:0, 0:1, 0:0, 1:0

გოლები: 1:0 სოდერბერგი-16 (კომფერი-10, კურფუტი-22), 1:1 მარშესო-24 (ტეოდორი-19).

ბულიტები გაიტანეს: ლანდესკოგი (კოლორადო).

სან ხოსე-კალგარი 5:1

2:1, 1:0, 2:0

გოლები: 1:0 დილონი-4 (ტირნი-21, მაიერი-13), 2:0 ჰანსენი-2 (ბერნსი-49, გუდროუ-6), 2:1 მაიკლ სტოუნი-3 (ფერლანდი-19, კ. სტიუარტი-6), 3:1 ე. კეინი-26 (ტირნი-22), 4:1 ჯ. ბრაუნი-4 (კუტური-26, მ. კარლსონი-10), 5:1 ე. კეინი-27 (პაველსკი-41, დილონი-16).

მონრეალი-ვაშინგტონი 4:6

1:3, 1:1, 2:2

გოლები: 1:0 გალჩენიუკი-17 (დე ლა როუზი-8), 1:1 კუზნეცოვი-22 (ჯ. კარლსონი-47, ბექსტრიომი-39), 1:2 ტ. უილსონი-12 (ბექსტრიომი-40), 1:3 ტ. უილსონი-13 (ბექსტრიომი-41, ბურაკოვსკი-11), 1:4 ბიგლი-7 (ორლოვი-21, ჩიასონი-8), 2:4 ჰაჯონი-9 (ჯორდი ბენი-011, შოუ-8), 2:5 კუზნეცოვი-23 (ბექსტრიომი-42, ჯ. კარლსონი-48), 2:6 ოში-17 (იერაბეკი-5, ბურაკოვსკი-12), 3:6 ჰაჯონი-10 (მაიკ რაილი-14, შოუ-9), 4:6 გალაჰერი-28 (დრუენი-28, პეტრი-26).

ნიუ ჯერსი-ტამპა ბეი 2:1

1:0, 1:0, 0:1

გოლები: 1:0 ჰიშირი-18 (ბუტჩერი-34, მიულერი-3), 2:0 პალმიერი-21 (ზახა-15, ტ. ჰოლი-49), 2:1 პალატი-9 (სერგაჩოვი-29, პოინტი-34).

კოლამბუსი-სტ. ლუისი 1:2

0:1, 1:1, 0:0

გოლები: 0:1 სტინი-15 (ბერგლუნდი-8, ბროძიაკი-17), 0:2 ტარასენკო-29 (ბ. შენი-38, შვარცი-33), 1:2 ატკინსონი-19.

ტორონტო-დეტროიტი 4:3

1:0, 1:2, 2:1

გოლები: 1:0 კაპანენი-7 (ბოზაკი-30, ჯ. ვან რიმსდაკი-18), 1:1 ლარკინი-12 (მანტა-20), 1:2 ბერტუცი-3 (დეკეისერი-5, ზეტერბერგი-38), 2:2 კ. ბრაუნი-14 (დერმოტი-12, მორგან რაილი-42), 2:3 ნილსენი-15 (ვიტკოვსკი-2, კრონვალი-18), 3:3 ნოულანდერი-17 (მეტიუსი-23), 4:3 კადრი-29 (მარლო-18, მარნერი-44).

ფლორიდა-არიზონა 4:2

0:1, 0:1, 4:0

გოლები: 0:1 კ. კელერი-22 (პანიკი-18, სტეპანი-39), 0:2 პანიკი-11 (სტეპანი-40, კ. კელერი-37), 1:2 ტროჩეკი-29 (ჯ. მაკგინი-12, იენდლი-43), 2:2 ტროჩეკი-30 (პისიკი-12, იუბერდო-42), 3:2 მალგინი-11 (სკევიური-10, მამინი-1), 4:2 ჯ. მაკგინი-12 (ბარკოვი-48, ტროჩეკი-39).

რეინჯერსი-ბაფალო 5:1

2:0, 3:0, 0:1

გოლები: 1:0 კრაიდერი-15 (ზიბანეჯადი-19, ფასტი-18), 2:0 ვესეი-16 (ცუკარელო-35), 3:0 პაინკი-1 (ვესეი-8, ჰეიესი-17), 4:0 ზიბანეჯადი-27 (კრაიდერი-21, პაინკი-13), 5:0 ვესეი-17 (სპუნერი-28, ჰეიესი-18), 5:1 რაინჰარტი-20 (ოკსოპო-28, ო'რაილი-33).

ოტავა-კაროლინა 2:5

1:1, 0:1, 1:3

გოლები: 0:1 დი ჯუზეპე-4 (ზიკოვი-1), 1:1 ბ. რაიანი-9 (ძინგელი-14, ე. კარლსონი-49), 1:2 ბ. მაკგინი-14 (დალბეკი-2, ჯ. სტაალი-25), 1:3 ჰანიფინ-9 (აჰო-36, ზიკოვი-2), 1:4 სკინერი-23 (დი ჯუზეპე-5), 2:4 ჩაბოტი-7 (მაიკ ჰოფმანი-30, პაიარვი-4), 2:5 ჯ. სტაალი-17 (ჯესტინ უილიამსი-31, ლინდჰოლმი-27).

ანაჰაიმი-ჩიკაგო 1:3

0:0, 0:2, 1:1

გოლები: 0:1 პ. კეინი-26 (შარპი-11, გუსტაფსონი-9), 0:2 საადი-17 (ოსტერლუ-10, რუტა-14), 1:2 ტავარესი-33 (ლი-21, ჰიკი-17), 1:3 სიბრუკი-6.

მინესოტა-ნეშვილი 4:1

0:1, 2:0, 2:0

გოლები: 0:1 იოჰანსენი-13 (საბენი-38, ფორსბერგი-33), 1:1 ერიქსონ ეკი-5 (მ. ფოლინო-15, ვინიკი-15), 2:1 ნიდერაიტერი-18 (ზუკერი-29, მერფი-3), 3:1 ზუკერი-30 (ე. სტაალი-33), 4:1 პარიზე-10 (მიკაელ გრანლუნდი-40).

ედმონტონი-ლოს ანჯელესი 3:2

2:1, 1:1, 0:0

გოლები: 1:0 აბერგი-4, 2:0 მაკდევიდი-37 (რატი-3, ა. ლარსონი-8), 2:1 მუზინი-8 (პირსონი-22, ჯ. კარტერი-7), 3:1 მაკდევიდი-38 (სლეპაშევი-6, სეკერა-5), 3:2 ჯ. კარტერი-9 (რიდერი-12, პირსონი-23).

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩები

ტაილანდი-სლოვაკეთი 2:3

გიბრალტარი-ლატვია 1:0

ფარერები-ლიხტენშტაინი 3:0

კალათბურთი

NBA

ბრუკლინი-კლივლენდი 114:121

ჰოკეი

NHL

პიტსბურგი-ფილადელფია 5:4 (ო)

ჩოგბურთი

ATP. მაიამი

ჩუნგი-მო 6:1, 6:1

სოუზა-დონალდსონი 1:6, 6:3, 6:4

კრაინოვიჩი-პერი 6:3, 6:3

პოსპიშილი-**ჩილიჩი** 5:7, 6:7

WTA. მაიამი

მარტიჩი-**ბარტი** 4:6, 3:6

მერტენსი-**კონტა** 2:6, 1:6

ვ. უილიამსი-ბერტენსი 5:7, 6:3, 7:5

კოლინზი-ვეკიჩი 4:6, 6:2, 6:1

საკარი-**პუიგი** 3:6, 5:7

ფეტელი vs ჰემილტონი 1:0

ახალი სეზონი ფერარის ტრიუმფით დაიწყო

„ფერარიმ“ ზედიზედ მეორედ დაამარცხა ავსტრალიაში „მერსედესი“ და ახალი სეზონი მოგებით დაიწყო - სებასტიან ფეტელი შვიდი ქულით უსწრებს ლუის ჰემილტონს, „სკუდერიას“ კი 18 ქულით მეტი აქვს, ვიდრე „ვერცხლისფერ ისრებს“. მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონთა პირველი ბრძოლა საკმაოდ დაძაბული გამოვიდა, მაგრამ ამ დუელის ფონზეც კი რბოლის მთავარი სენსაცია გახდა ამერიკული „ჰაასი“... ავსტრალიის გრან პრის მთავარი მოვლენები წლის პირველ მიმოხილვაში.

ჰაასის ეპიკური კრახი

„ჰაასისთვის“, რომლის პილოტებმა მესამე (!) რიგიდან აიღეს სტარტი, ავსტრალიის გრან პრი, შესაძლოა, ყველაზე წარმატებული ყოფილიყო არსებობის ისტორიაში. მაგრამ, საბოლოოდ, ყველაფერი ისეთ კოშმარში გადაიზარდა, რომ გუნდის მფლობელ ჯასტინ ჰაასს სასწრაფოდ მოუწევს საკადრო გადაწყვეტილებების მიღება. ამერიკულმა საჯინიბომ მხოლოდ საკუთარი შეცდომების წყალობით, სულ რაღაც ორი წრის განმავლობაში ორივე მანქანა დაკარგა, რომლებიც მეოთხე და მეხუთე ადგილზე იმყოფებოდნენ.

თავდაპირველად, გეგმურ პიტსტოპზე შევიდა მაგნუსენი. ის ტრასაზე მე-13 პოზიციაზე დაბრუნდა, მაგრამ ორი მოსახვევის შემდეგ, მკვეთრად უკლო სიჩქარეს, შემდეგ კი უსაფრთხოების ზონაში გაჩერდა. პილოტმა რადიოთი თქვა, რომ დაკიდებასთან დაკავშირებით ჰქონდა პრობლემა, მაგრამ ასე არ იყო. სინამდვილეში, მექანიკოსებმა არ დაამაგრეს უკანა მარცხენა საბურავი.

ერთი წრის შემდეგ, „ჰაასის“ ბოქსებში გროსჟანი შევიდა. და მანაც, პიტ-ლეინიდან გამოსვლისთანავე დაიწყო სიჩქარის კარგვა და ტრასის მიღმა გაჩერდა. მალე გაირკვა, რომ მექანიკოსების მეორე ბრიგადამ წინა მარცხენა საბურავი არ დაამაგრა!

სხვები

პირველ ათეულში დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: რიკარდო, ალონსო, ფერსტაპენი, ჰიულკენბერგი, ბოტასი, ვანდორნი, საინსი.

ყურადღებას იპყრობს ქულათა ზონაში ორივე „მაკლარენის“ მოხვედრა. ბოლიდი „რენოს“ ახალი ძრავით უფრო კონკურენტუნარიანი ჩანს, ვიდრე შარშან, „ჰონდას“ ძრავით იყო.

ფერსტაპენი მთელი უქმეების განმავლობაში რიკარდოზე სწრაფი იყო, მაგრამ რბოლის დასაწყისში, მაგნუსენის გასწრების მცდელობისას, შეცდომა დაუშვა, მოსრიალდა და პირველი ათეულის ბოლოში აღმოჩნდა. რომ არა „ჰაასის“ ორმაგი გამოვარდნა, ჰოლანდიელი, შესაძლოა, მეექვსე ადგილამდეც ვერ მისულიყო.

ვალტერი ბოტასის დაბალი შედეგი იმით აიხსნება, რომ კვალიფიკაციისას, მან თავისი „მერსედესი“ დაამტვრია, თანაც ისე, რომ გადაცემათა კოლოფის შეცვლა გახდა საჭირო, ამის გამო კი ფინელი ხუთი პოზიციით უკან დახიეს და ბოტასს მე-15 ადგილიდან მოუწია სტარტის აღებამ. ფინელს პელოტონის გარღვევა და მერვე ადგილზე უფრო ზემოთ ასვლა არ გამოუვიდა.

პირველ ათეულში ვერ მოხვდა „ფორს ინდიას“ ვერც ერთი პილოტი - ეს პირველი ასეთი შემთხვევაა 2016 წლის შემდეგ.

პირველი პოული ჰემილტონს

შაბათს, კვალიფიკაცია „ალბერტ-პარკის“ რეკორდით მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა, „მერსედესის“ პილოტმა ლუის ჰემილტონმა მოიგო - 1 წუთი და 21,161 წამი. ეს ბრიტანელის 75-ე პოულია კარიერაში და ზედიზედ მეხუთე ავსტრალიურ ტრასაზე.

სასტარტო განლაგება ასეთი იყო:

I რიგი: 1. ჰემილტონი (მერსედესი) - 2. რაიკონენი (ფერარი)
II რიგი: 3. ფეტელი (ფერარი) - 4. ფერსტაპენი (რედ ბული)
III რიგი: 5. მაგნუსენი (ჰაასი) - 6. გროსჟანი (ჰაასი)
IV რიგი: 7. ჰიულკენბერგი (რენო) - 8. რიკარდო (რედ ბული)
V რიგი: 9. საინსი (რენო) - 10. ალონსო (მაკლარენი)
VI რიგი: 11. ვანდორნი (მაკლარენი) - 12. პერესი (ფორს ინდია)
VII რიგი: 13. სტროლი (უილიამსი) - 14. ოკონი (ფორს ინდია)
VIII რიგი: 15. ბოტასი (მერსედესი) - 16. ჰარტლი (ტორო როსო)
IX რიგი: 17. ერიძსონი (ზაუბერი) - 18. ლეკლერი (ზაუბერი)
X რიგი: 19. სიროტკინი (უილიამსი) - 20. გასლი (ტორო როსო)

ფერარის სასარგებლოდ

„ჰაასის“ სულელურმა შეცდომებმა პოდიუმზე ადგილების გადანაწილებაზე იქონია გავლენა. საქმე ისაა, რომ გროსჟანის გამოვარდნის შემდეგ, უსაფრთხოების ვირტუალური მანქანის რეჟიმი გამოცხადდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ყველა პილოტი ვალდებული იყო - სიჩქარის ლიმიტირებული რეჟიმით ემოძრავა. ამ მომენტამდე რამდენიმე წრით ადრე, ბოქსებში სინქრონულად შევიდნენ ლიდერები - ლუის ჰემილტონი და კიმი რაიკონენი. ამასთან, ჰემილტონმა რადიოთი აღნიშნა, რომ მის „ულტრასოფტს“ რესურსი ამოწურული არ ჰქონდა და ბოქსებში შესვლა აუცილებლობას არ წარმოადგენდა. თუმცა, გუნდის ბრძანებას დაემორჩილა.

ლიდერობა კი სებასტიან ფეტელმა მოიპოვა, რომლის ინჟინრებმა გადაწყვიტეს, რომ გერმანელი „ულტრასოფტით“ იქამდე ივლიდა, სანამ საბურავი ბოლომდე არ გაცვდებოდა. ხოლო, როცა ვირტუალური პეის-კარის რეჟიმი გამოცხადდა, „ფერარიში“ ამაზე მყისიერი რეაგირება ჰქონდათ. ფეტელი საკმარისად დასცილდა ჰემილტონსა და რაიკონენს და ამიტომაც, ბოქსებში შევიდა.

გერმანელი ტრასაზე უშუალოდ ჰემილტონის წინ დაბრუნდა. ბრიტანელს შეტევა არ შეეძლო, რადგან უსაფრთხოების ვირტუალური მანქანა რეალურით იყო შეცვლილი. ლუისი რადიოთი თავის გუნდს ეკითხებოდა - რაში მდგომარეობდა მისი შეცდომა, მაგრამ მას უპასუხეს, რომ გარემოებები მიეწყო ამგვარად. ჰემილტონს შესანიშნავად ესმოდა, რომ ეს რბოლის გადამწყვეტი მომენტი იყო.

ფინიშამდე კიდევ ბევრი წრე რჩებოდა, მაგრამ „ალბარტ-პარკი“ ის ტრასა არ არის, სადაც იოლია გასწრება. ჰემილტონს თითქმის ფინიშამდე პრესინგში ჰყავდა ფეტელი, ერთხელ შესატევ მანძილამდე მიუახლოვდა გერმანელს, მაგრამ შეცდომა დაუშვა და სამ წამამდე ჩამორჩა ლიდერს. ამის შემდეგ, ლუისი ისევ ახლოს მივიდა სებასთან, მაგრამ მიხვდა, რომ ვეღარ გაასწრებდა და ძრავისა და მანქანის დაზოგვა გადაწყვიტა.

ფეტელმა ზედიზედ მეორედ მოიგო ავსტრალიის გრან პრი, ჰემილტონი მეორე იყო, რაიკონენი - მესამე.

ავსტრალიის გრან პრი

მელბურნი. 58 წრე. 307,574 კმ

1. ფეტელი (ფერარი)	1:29.33.283
2. ჰემილტონი (მერსედესი)	+5.036
3. რაიკონენი (ფერარი)	+6.309
4. რიკარდო (რედ ბული)	+7.069
5. ალონსო (მაკლარენი)	+27.886
6. ფერსტაპენი (რედ ბული)	+28.945
7. ჰიულკენბერგი (რენო)	+32.671
8. ბოტასი (მერსედესი)	+34.339
9. ვანდორნი (მაკლარენი)	+34.921
10. საინსი (რენო)	+45.722
11. პერესი (ფორს ინდია)	+46.817
12. ოკონი (ფორს ინდია)	+60.278
13. ლეკლერი (ზაუბერი)	+75.759
14. სტროლი (უილიამსი)	+78.288
15. ჰარტლი (ტორო როსო)	1 წრე
16. გროსჟანი (ჰაასი)	უფინიშოდ
17. მაგნუსენი (ჰაასი)	უფინიშოდ
18. გასლი (ტორო როსო)	უფინიშოდ
19. ერიძსონი (ზაუბერი)	უფინიშოდ
20. სიროტკინი (უილიამსი)	უფინიშოდ

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა
ISSN 2233-3827
კიოსკორი დაიბეჭდა სტამბა კოლორში

საპატიო რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
საკონტაქტო ტელეფონი რედაქციაში 238 84 44; 599 55 48 97

მთავარი რედაქტორი გია თვალაბეიშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე: ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28); მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი;
ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-2015), გია თვალაბეიშვილი (2015-დან)

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: leloltd@gmail.com; მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად: 01:15
ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70; გაზეთის გამოწერა: 238 26 73.
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ ინტერნეტით, ვებ-გვერდზე: www.elva.ge ან სატელეფონო შეკვეთის საშუალებით: 237 50 03; ადგილზე მიტანა უფასოა!